პროლეტარიატო ყველა ქვეყანა მეგობარ ერთდით

კომუნისტი

წყლიწადი მეოთხე

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საძრაფვკომის ორგანო

1 თებერვარი ოთხშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4 რედაქცია ღია ყოველ დღე გარდა ოთხშაბათისა უქმეებისა დილ. 10-ს. 3-ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

№ 24 ოთხშაბათი, 1 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 1 თებერვალი 1922 წ. № 24

საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა

პარასკევს 3 თებერვალს ქ. თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა მეორე ყრილობა. ამ მხრივ ამ უკანასკნელებმა ძალიან წინ გაუსწრეს ჩვენი საბჭოების მოწყობა—ორგანიზაციასა და პარტიულ ორგანოების დემოკრატიულათ ჩამოყალიბებას.

იმ დროს, როდესაც არჩევნები საბჭოებში ჯერ კიდევ ყოველგან სავსებით არ დასრულებულა და, რასაკვირველია, მათი ყრილობაც ვერ შესდგებოდა; იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტიის, კომუნისტური პარტიის, რომელიც ტვინი და გულია საქართველოს პროლეტარიატისა და საერთოდ მშრომელი მასების, და რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს მათ ყოველმხრივათ მის ძნელ და საპასუხისმგებრო მუშურ-გლეხურ აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებაში,—ამ პარტიის ყრილობა მხოლოთ დღეს მოხდა და ისიც პირველჯერ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა საქართველოში, ამ დროს საქართველოს პროფკავშირები ახერხებენ უკვე მეორე მორიგი ყრილობის მოწვევას. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალური მუშაობა ჩვენში რამდენიმეთ ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი. და ეს არც გასაკვირია, ვინაიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდანვე ფართო ენერგიული მუშაობა წარმოებდა მენშევიკების მიერ დანგრეულ პროფკავშირთა ორგანიზაციების აღსადგენათ და მოსაწყობათ.

და დღეს ისინი გულდასმით უდგებიან თავის მეორე ყრილობაზე იმ საჭირბოროტო კითხვების გარჩევასა და სისწორით გადაჭრას, რომლებიც წამოჭრილია მათ წინაშე შექმნილ ეკონომიურ ვითარების გამო ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

რა უნდა ქნან მათ ამ ყრილობაზე რა კითხვებს უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება?

ეს გახლავთ კითხვები, რომლებიც მათი ყრილობის დღის წესრიგშიაც არის აღნიშნული: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ამოცანები დღევანდელ მომენტში შექმნილ პირობებში, პროფკავშირების მონაწილეობა ჩვენს წარმოებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, ახალი სატარიფო პოლიტიკა და სხვ.

დღეს პროფესიონალურ კავშირების წინაშე შექმნილ პირობების გამო დგას ახალი სახის ამოცანები, რომლებსაც ყრილობამ დიდი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

როგორც ვიცით დღეს ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო გადავედით სამეურნეო ანგარიშიანობაზე და დავიწყეთ ზოგიერთი საწარმოვო და სამრეწველო დაწესებულებების იჯარით გაცემა. როგორც ამხანაგობებზე და არტელებზე ისე კერძო პირებზედაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისევ ადგილი ექნება დაქირავებულ შრომას და მის ექსპლოატაციას. ამიტომ პროფკავშირების წინაშე ისმება ახალი ამოცანა: დაქირავებულ შრომის დაცვა კაპიტალის მიერ გაყვლეფისაგან. ეს ამოცანა დღეს პირველ და უმთავრეს ადგილზე უნდა იქნეს წამოყენებული პროფკავშირების მიერ თუ წიხეთ ისინი უმთავრეს ყურადღებას წარმოებას აქცევდენ და პირდაპირ უშუალო მონაწილეობას ღებულობენ მასში. დღეს რამდენიმეთ ეს უკანა რიგში დგება და მისი სარბიელი ამ დარგში იფარგლება წარმოებაზე კონტროლით, და სახელმწიფოს მიერ საწარმოვო გეგმის გამოშუშავებასა და მაღლა მდგომ საწარმოვო ორგანოებში მონაწილეობის მიღებით.

ამას გარდა ყრილობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ჩვენი სასოფლო-მეურნეობის აღდგენას მიწა-ტყის კავშირის საშუალებით. ყრილობას კარგათ უნდა ესმოდეს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ისე, თუ არ იქნა აღდგენილი სასოფლო-მეურნეობა. როგორც ვიცით ჩვენი მუშების დიდი უმრავლესობა არაა წმინდა პროლეტარი, მას სოფელთან ჯერ კიდევ სავსებით არ აქვს კავშირი გაწყვეტილი და სოფლის გლეხებზე დიდი გავლენა აქვს, როგორც „ქალაქელს“ და ნდობითაც ეპყრობიან მას. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა დიდი როლი ითამაშეს ბათომის მუშებმა გურიის გლეხობის გამოფხიზლებასა და გარევოლიუციონერებაში.

ერთი სიტყვით პროფკავშირთა ყრილობამ დღის წეს-რიგში უნდა დასვას ამ სასოფლო-მეურნეობის აღდგენის საკითხი და თავისი დასკვნა გაუკეთოს მას. ამ მხრივ მის ხელშია ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი იარაღი, როგორიცაა მიწა-ტყის კავშირი.

ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ ამას შესძლებს სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა.

ყველაზე ფინ მშრომელთა ინტერესები

საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი შრომის და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შემოღების შესახებ. ამ დეკრეტის მიზანია შექმნას პირობები სოფლის მეურნეობის ნორმალურად განვითარებისა, რომელსაც ხელს უშლიდა და აუარებელ დროს ართმევდა ბეგარები თავისი განუსაზღვრელობით და მცხოვრებთა შორის უთანასწოროთ განაწილებით. ახლა შემოღებული გადასახადის ნორმა კი, რომელიც გამოიხატება წელიწადში—ექვს სამუშაო დღეში თვითეულ შრომის უნარიან მამაკაცზე და ტვირთ-საზიდავ საშუალებაზე, ხუთჯერ და მეტად ამცირებს ძველ ბეგარებს. ეს გადასახადი ისეთი მცირეა, რომ იმის მოხდა არავითარ ზიანს არ მიაყენებს სოფლის მეურნეს.

თვით შრომის და ტვირთ-ზიდვის გადასახადი გამოწვეულია ჩვენი დანგრეული მეურნეობის აღდგენის აუცილებლობით. მის აღორძინებაზედ დიდი ხნის განმავლობაში არავინ არ ფიქრობდა. მენშევიკები რამოდენიმე წლის ბატონობის დროს, არ ზრუნავდენ სრულებით მასზე, ეწეოდენ გაცარცვის პოლიტიკას, რომელიც დააგვირგვინეს 1921 წელს, გაიტანეს რაც შესძლებს ხოლო რისი გატანაც მოუხერხებელი იყო—დაანგრიეს და უვარგისად გახადეს (ხიდები, გზები და სხვა) დანგრეული და გაცარცვული ქვეყნის აღსადგენად საჭიროა მუშაობა, რომელიც მოითხოვს აუარებელ მუშა-ხელს. აი ამიტომ საბჭოთა ხელის უფლება იძულებული იყო დაეტოვებია შრომის ვალდებულება, მაგრამ შეემცირებია ის და განესაზღვრა ასეთი მცირე რიცხვით, როგორც ექვსი დღე წელიწადში, მაშინ როცა მენშევიკების დროს მარტო საგზაო გზის შესაკეთებელი ბეგარა შვიდი დღით ისაზღვრებოდა. სხვა ბეგარები კი სულ არ იყო განსაზღვრული არავითარი დროით.

შემოღებულ მცირე შრომის გადასახადის ცხოვრებაში გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ისე საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის ასაღორძინებლად. მტკიცე ნორმა (ექვსი დღე), რომლის ზევით ბეგარაზე გამოყვანა დაშვებული იქნება **მხოლოდ თავისუფალი დაქირავებით,** გარდა სტიქიურ უბედურობის შემთხვევებისა, წაახალისებს შიწის მუშას, გაუადვილებს მის მოხდას და მისი შესრულების დროს კი შრომის ნაყოფიერება ძალიან დიდი იქნება, ვინემ განუსაზღვრელი ბეგარების დროს იყო.

ამ ნორმის შემოღება დიდ შელავათს მისცემს გლეხობას, მოსპობს იმ უკმაყოფილებას, რაც ბეგარების ჩატარების დროს იყო და ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველაზე წინ სდგას მშრომელების ინტერესები.

ს. გოდაბრელიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

ამხ. მდივანის მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

29 იანვრის საღამოს სხდომა

28 იანვარს, საღამოს მოსმენილ იქნა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება პარტია და პროფკავშირებზე, გარდა ამისა—მოხსენება საკანტროლო კომისიის და ამხ. ჩიკარიოვის—პარტიის გაწმენდის შესახებ.

29 იანვარს დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ, აგრარული პოლიტიკისა და სასოფლო მეურნეობის შესახებ საქართველოში. საღამოს მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. მდივანის—საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, რომლის შემდეგ გაიხსნა კამათი.

30 იანვარს დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი ეროვნული საკითხის შესახებ საქართველოში. დაწყებული მოხსენების შემდეგ კამათი გაგრძელდა საღამოს სხდომაზე.

31 დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დონენკომ პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგ ამოცანების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში რუსეთის 3 წლის სერიოზული გამოცდილების შემდეგ. პირველი ეტაპია ძალაუფლება ადგილობრივად—საბჭოთა ძალაუფლება ორგანიზაციაა ბურჟუაზიაზე უშუალოდ ზედმოქმედებისა და მასთან ბრძოლის საწარმოებლად. მეორე ეტაპია ყველაფრის მობილიზაცია სამხედრო ფრონტზე გასამარჯვებლად და ამის შედეგი მთლიანი რუსეთი. უკანასკნელი ეტაპია—ბრძოლა ანარქიასთან და მეურნეობის აღდგენა. ამ პერიოდში დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც პირველ დღეებშივე უნდა გადაეჭრა მენშევიკური მთავრობის ძიერ მოუწესრიგებელი საკითხები. ყველაფერზე ადრე საჭირო იყო გაფანტვა შოვინისტური ბურჟუსისა, რომელზედაც ემყარებოდა მენშევიკური მთავრობა; შემდეგ უნდა მოგვესპო აქ გაბატონებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ყალბი შეხედულებები, და ჩვენც დავიწყეთ ბრძოლა ამ მიმართულებით. კურსი ჩვენ მიერ სწორად იყო აღებული, რასაც მოწმობს ის, რომ მალე ჩვენ შევსძელით რკინის გზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება.

ჩვენი ხელისუფლება მოეწყო აქ ზევიდან რევკომის სახით. მაგრამ უნდა ვსთქვათ გულახდილათ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არსებობს მრავალი წელი და არსებობს როგორც მთელი მსოფლიოსათვის თვალმჭრელი მოვლენა, საქართველოს მშრომელ მასებში არაა მისი ნათელი წარმოდგენა და შეთვისება იმდენად, რომ ამ ძალაუფლების რეალიზაციის დროს არ იყოს ზოგიერთი უკმაყოფილება. მე ვფიქრობ, რომ ყრილობაზე ეს უნდა ითქვას, რასაკვირველია, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით საბჭოთა ხელისუფლების შესახებ საქართველოში, უნდა დავიხსომოთ, რომ ვერავითარ ახალ საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ ვერ შევქმნით. ეს ხელისუფლება თითქმის მთლიანია და უმთავრეს საფუძვლებში ყველგან ერთიანია. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების იდეა ჩვენ უნდა ყველგან გასაგები გავხადოთ მასებისათვის და აგრეთვე ჩვენი ყრილობისთვისაც, იმიტომ, რომ რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს ამ ყრილობის შეგნება, მაინც არ იქნება უსარგებლო საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების შესახები ზოგიერთი რამის მოსმენა. ამიტომ მე მოკლედ დავახასიათებ საბჭოთა ხელისუფლებას. იგი უპირველესად ყოვლისა მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლებაა. ამას განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი, იმიტომ რომ დემოკრატიულ ლაყბობა, რომელიც ახასიათებდა მენშევიკებს, რათაც არ უნდა დაჯდეს უნდა მოისპოს. შემდეგ ამ ხელისუფლების თვისება ისეთია, რომ ის შენდება ქვევიდან, ვითარდება თანდათანობით და მიდის მთელი ფედერაციის სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამდე. ამ ხელისუფლებას აქვს თავის ორგანოები, როგორც ადგილობრივად მომქმედი ორგანოები, მაგრამ ამასთან ერთად ეს ორგანოებია აგენტები სახელმწიფო ორგანიზაციისა, პროლეტარიატის დიქტატურისა. აქედან გამომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების ის ძირითადი თვისება, რომ ის აგებულია ორმაგი დამოკიდებულების პრინციპზე, როგორც ამბობენ, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზების მიმართულებით. ამ ხელისუფლების ცალკე განყოფილებები ექვემდებარებიან იმ ორგანოს, რომელიც არსებობს ადგილობრივად და ცენტრში. და ყველაფერი ეს შენდება დემოკრატიულ ცენტრალიზმის პრინციპზე, რომელიც გულისხმობს არჩევნებს, თითონ ხელისუფლების აგებას ქვევიდან და ცენტრალისტურ მმართველობას ზევიდან. შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელი თვისება ის არი, რომ დეპუტატების არჩევნები მხოლოდ ვადიანია, რომ სესია მოკლე ხნიანია და რომ უკან გამოწვევის უფლებით სარგებლობს ყოველი მოქალაქე.

საბჭოთა ხელისუფლება, ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც ნამდვილად და სავსებით ერთხელ და სამუდამოდ სჭრის წყეულ ნაციონალურ საკითხს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ, საქართველოში, სადაც ცხოვრობენ ბევრი ნაციები. სწორედ აქ აქვს საბჭოთა ხელისუფლებას თავისი უდიდესი კულტურული, რევოლიუციონური მისია. და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მოაწესრიგოს ნაციონალური საკითხი, ვინაიდან რეალური, ძირითადი გადაჭრა ყოველ საკითხისა იმაში მდგომარეობს, რომ თითონ გაბატონებულ კლასების ინტერესები დაახლოვებით იყოს ერთნაირი.

პროლეტარული დიქტატურის არსებობის ძირითადი მოტივი საქართველოში ისეთივეა, როგორც სხვა სახელმწიფოებში. ამიტომ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ესა თუ ის ნაცია ეცემა ერთი მეორეს. პროლეტარიატის მმართველობის სისტემის შექმნით, პროლეტარიატის გადაქცევით სახელმწიფო კლასად—იჭრება ნაციონალური საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მთლიანად უნდა დაამყაროს საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციას. არავითარ სხვა კონსტიტუციის გამომუშავება ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდან შრომის კონსტიტუცია ყველგან ერთნაირია. შრომა თავის არსებით ყველგან მთლიანია. შემდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ყველა დადგენილებები 8 და 9 ყრილობებისა, რომლებიც თანდათან აუმჯობესებდენ საბჭოთა ხელის უფლების კონსტიტუციას. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შაბლონიურათ გადმოვიღოთ ყველაფერი და ვთარგმნოთ საბჭოთა რუსეთის დადგენილებები. მაგალითად საბჭოების ყრილობა ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ წელიწადში ორჯელ; თუმცა რუსეთში ის ეწყობა ერთხელ. ეს საჭიროა იმისთვის რომ უფრო ხშირად და ახლო მივიდეთ მასებთან. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვქონდა საშვალება მიგვეღო ის გამოცდილება და მასების ის აქტიური გამოსვლები რომლებიც რუსეთში შეიძინეს საკუთარი გამოცდილებით. აქ საჭიროა თანდათან შევისწავლოთ და შევითვისოთ 4 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგროვილი გამოცდილება და რამდენადაც ხშირად შევიყრით თავს და ერთმამეთს გაუზიარებთ აზრებს და გამოცდილებას, იმდენად წარმატებით განვითარდება ჩვენი პრაკტიკული მუშაობა.

შემდეგ მე აღვნიშნავ, რომ საჭიროა აქ, ამ მიზნებისათვის ეწყობოდეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ფართო სხდომები და უნდა ხდებოდეს მოწვევა ამ სხდომებზე თემის საბჭოების პრეზიდიუმის წევრებისა, რადგანაც მაღალ და დაბალ ორგანოებს შორის არ უნდა იყოს ამართული კედელი. ყოველ გვარ უთანხმოებისა და ბიუროკრატიზმის მოსასპობად უნდა ხშირად მოეწყოს გაერთიანებული სხდომები და დაისვას იქ ადგილობრივი საკითხები, რომ ცოცხალ მაგალითებზე ვისწავლოთ მუშაობა, და ამხანაგებს შეეძლოს სინამდვილესთან უფრო დაახლოვება. შემდეგ აქ, საქართველოში ჩვენ უნდა მოვიზიდოთ საბჭოებში უპარტიონი, რათა უფრო მჭიდროთ შეუკავშირდეთ მშრომელთა ფართე მასებს. ამისათვის საჭიროა შევიყვანოთ აღმასკომებში პატიოსანი უპარტიო მუშები და გლეხები. საქართველოში განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი გავლენის უზრუნველსაყოფად მოვიზიდოთ უპარტიონი, მიტომ რომ, როცა შემოვა უპარტიო, იგი არა. მარტო მოიყვანს ვინმეს ჩვენთან, არამედ მოაშორებს მას იმ ბატონებს, რომელთაც სურთ მისი დაუფლება. ეს უნდა შევითვისოთ ჩვენ, რათაც უნდა დაგვიჯდეს.

რაც შეეხება პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ურთიერთობის საკითხს, ამის შესახებ არსებობს **რ. კ. პ.** მე-8 ყრილობის ამომწურავი დადგენილება. აქ საჭიროა მხოლოდ ისევ გაუსვათ ხაზი, რომ პარტიული ორგანოები მხოლოდ ხელმძღვანელობენ საბჭოთა ორგანოებს, მაგრამ მის მაგიერობას არ ეწევიან. პარტიას ეკუთვნის მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობა. მთელ უშუალო მუშაობას კი მმართველობის სფეროში ასრულებენ საბჭოთა ორგანოები, რომელთა უშუალო მუშაობაში საბჭოთა ორგანოები არ უნდა ერეოდნენ.

ამხანაგებო, ჩვენი მორიგი ამოცანა: ესაა გადასვლა რევკომების სისტემიდან საბჭოთა სისტემაზე. უნდა მოვახდინოთ რევკომების ლიკვიდაცია და საბჭოებზე გადავიდეთ მთელს რესპუბლიკაში.

ზოგიერთი პრაქტიკული წინადადებანი საჭიროა, საჭიროა, რათა აქ სრულიად მტკიცედ და გარკვევით ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს მრავალი ორგანო როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, რომლებიც უნდა გავაერთიანოთ, რათა მივაღწიოთ ძალების და საშუალებათა ეკონომიას, რათა თავი დავახწიოთ საქმის ზედმეტ გაჭიანურებას, მაგალითად, მმართველობის ორგანო, საგანგებო კომისიის, იუსტიციის ორგანოები, სამხედრო კომისარიატი და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება შეიძლება გავაერთიანოთ და შევქმნათ ერთი ორგანო, და უწოდოთ მას, მაგალითისათვის, ადმინისტრატიული თათბირი. ან მაგალითად, სხვა ორგანოები, როგორც პოლიტგანათლების, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის კომისარიატი, აგრეთვე შეიძლება გავაერთიანოთ ერთ ორგანოდ. ამჟამად იგულისხმება, შეუძლებელია ამის პრაკტიკულად გადაჭრა, მაგრამ ყრილობას შეუძლია ასეთი დირეკტივები მისცეს საბჭოთა სათანადო ორგანოებს. შემდეგ შესაძლებელია გავაუქმოთ ეკონომიური საბჭო, წვრილ-წარმოებებს განაგებდეს იქნება კომუნალურ მეურნეობის განყოფილება, მსხვილებს—სახალხო მეურნეობის საბჭო.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი. ვიმყოფებით არა ისეთ პირობებში, რომ შეგვეძლოს ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის სავსებით გაშლა, ჩვენ არც ისე თავისუფალნი ვართ, რომ მთელი პროლეტარული სიმძლავრით შეგვეძლოს ამოძრავება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვმოქმედობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ფრიად ბევრია გლეხობა, და არა მარტო სოფლად, არამედ აქაც, ჩვენს ყრილობაზე გლეხების მნიშვნელოვანი პროცენტია. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. გარდა ამისა ჩვენ ვიმყოფებით აღმოსავლეთის საზღვრამდე, სადაც ყველანი ჩვენ გვიყურებენ და აკვირდებიან თუ რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ იყენებენ ყოველ ჩვენს ნაბიჯს—შემდეგ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, ნამდვილად, აქ საქართველოში არ ჰქონდა ადგილი სამოქალაქო ომს, როცა თვით გლეხი ახრჩობდა ყველა მემამულეს. ეს არც ისე ადვილია, და ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შეამცირა ეს მისწრაფება. ჩვენში არაა ისე საქმე, როგორც რუსეთში, სადაც გლეხი დაინძრა და მემამულეც მოისპო, სადაც მუშა გაუსწორდა ბურჟუაზიას და თვითონ დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც აქტიურმა რევოლიუციონურმა ელემენტმა. ეს უნდა გვახსოვდეს. და ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით უნდა ავამოძრავოთ ჩვენი ძალები, რათა გლეხები ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობის ფრიად აკტიურ მუშაობაში (ტაში).

ნარევი

საფრანგეთის კაპიტალიზმი და მუშათა კლასი

ვენის „როტე ფანეშში“ დაბეჭდილია ამხ. პოლ-ლუის სტატია საფრანგეთის თანამედროვე მდგომარეობაზე, სადაც ავტორი, სხვათა შორის, სწერს:

„რეაქციონური ვაკხანალია სუფევს ახლა საფრანგეთის ცხოვრების ყველა დარგებში, როგორც ეკონომიურში, ისე პოლიტიკურშიც. აქაც, როგორც სხვა ქვეყნებში, კაპიტალისტები შეტევაზე გადმოვიდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, და ცდილობენ აართვან მას უკანასკნელი დროის ყველა მონაპოვარნი.

ომის დროს და ომის შემწეობით საფრანგეთის კაპიტალიზმი გამდიდრდა და შეკავშირდა. 1919 წლამდე საფრანგეთის კაპიტალიზმი უფრო ნაკლებათ იყო შეკავშირებული, ვიდრე გერმანიის, დანიის და შვეიცის კაპიტალიზმი. მაგრამ 1914—1918 წ. წ. პერიოდში საფრანგეთის კაპიტალიზმი პოლიტიკურ ამბების გამო კონცენტრაციას უშვება თავის თავს და მასთან წვრილი ინდუსტრია სულ ერთიანათ ვარდება მსხვილი კონსორციუმების გავლენის ქვეშ. ამავე დროს ხდება რეაქციონურ ძალთა კონსოლიდაცია, ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ისპირაცია ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ პრესის საშვალებით—მოკლეთ—ბურჟუაზია განუსაზღვრელათ განაგებს ქვეყანას.

19 ნოემბრის 1919 წ. არჩევნები, რომლებმაც გადასცა საფრანგეთის მართველობის საქე ნაციონალურ ბლოკს,—ძალიან ძვირი დაუჯდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, მაგრამ ამ მომენტში უკანასკნელს ეშინოდა მოულოდნელი რევოლიუციის, ეშინოდა რევოლიუციონური ძალების, რომელთა გამოღვიძებაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობამ რუსეთში დიდი გავლენა მოახდინა. საფრანგეთის კაპიტალისტები იმ მომენტში არ უწევდენ ანგარიშს ქვეყნის დანაკლისს,—მათთვის ხომ იმ მომენტში საკითხი სიკვდილსა და სიცოცხლეს ეხებოდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1918, 1919 წ. წ. საფრანგეთის პროფკავშირების წევრთა რაოდენობა გაიზარდა ექვსჯერ.

8 საათის სამუშაო დღე, სამუშაო ქირის გადიდება, რომლებიც მოპოებულ იქნა საფრანგეთის მუშების მიერ მაშინათვე დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ არევ-დარევის წუთებში,—ყველაფერს ამას ცდილობს ეხლა მოსპოს საფრანგეთის კაპიტალიზმმა. ამავე დროს გაძლიერდა საფრანგეთში კომუნისტების დევნა, რომლებსაც სულ პატარა რამისთვის ციხეებში ამწყვდევენ.

მსოფლიო კრიზისმა საფრანგეთშიაც შეამცირა მწარმოებელთა მოგება, რომლებიც ახლა ცდილობენ სამუშაო ქირის შემცირებით აიყვანონ თავიანთი მოგებები იმ დონემდე, რომელიც იყო 1917—1918—1919 წ. სამუშაო ქირა თანდათანობით შემცირებულ იქნა ლითონურ მრეწველობასა, ტრანსპორტისა და სამთო და საფეიქრო მრეწველობაში. მუშების ცდა, როგორც ჩრდილოეთ საფრანგეთში, ისე ვოგეზებში, ზემო და შუა რეინზე, წინ აღუდგენ ამ შეტევას, უშედეგოთ დამთავრდა, და იმავე დროს დაგვანახა, რომ მუშების ცალ-ცალკე გამოსვლები გაერთიანებულ კაპიტალის წინააღმდეგ აუცილებლათ განწირულია დამარცხებაზე.

სამუშაო ქირის შემცირებამ 10—15—20 პროც. ჩააგდეს საფრანგეთის მუშათა კლასი სიღატაკესა და სიმშილობაში. და სახელმწიფოც სიძვირეზე მომატებას მოსპობთ მილიონ სახელმწიფო მოსამსახურეებისა და რკინისგზელებისათვის სიგნალს აძლევს მწარმოებლებს ახალი შეტევისათვის. უკანასკნელ ხანებში დაიწყეს ხელის შეხება 8 საათის სამუშაო დღეზედაც. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ტროკერი ცდილობს გააუქმოს ის მისი ხელქვეით მყოფ ყველა დარგებში.

ყველაზე ბურჟუაზიული გაზეთები გაჰკივიან იმაზე, რომ ერთად ერთი ხსნა უმუშევრობისაგან მხოლოთ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებაშიაო. მაგრამ ეს ახალი თავდასხმა მუშათა კლასზე გააერთიანებს მას ერთ ძლიერ აღტყინებაში წინააღმდეგობის გასაწევათ. და ახლა საფრანგეთის კომუნისტური პარტია უკვე მზად უნდა იყვეს იმისთვის, რომ სწორ კალაპოტში ჩააყენოს საფრანგეთის მუშების აღშფოთება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ დავიმსახურებთ ჩვენს რევოლიუციას“

(პოლიტიკური პერსპექტივები საფრანგეთში)

იხილავს საფრანგეთის მდგომარეობას 1921 წლის განმავლობაში და არკვევს რა 1922 წლის პერსპექტივებს „ობსერვერ“-ის კორესპონდენტი ამბობს: „საჭირო არ არის იყო წინასწარმეტყველი, რომ სთქვა, რომ 1922 წელი იქნება ყველაზე უფრო მძიმე მესამე რესპუბლიკის ისტორიაში, ბევრათ უფრო მძიმე, ვინემ ომის დროის წლები და რომ ამ წლის განმავლობაში ადგილი ექნება ბევრ მოულოდნელ ცვლილებებს“. „პოლიტიკურათ—ამბობს ქვევით კორესპონდენტი —1922 წელი იქნება შფოთიანი და თითქმის უეჭველათ დასაწყისს მისცემს დიდ პოლიტიკურ გადატრიალებებს“. უმთავრესი წყარო პოლიტიკურ სიძნელეთა არის ღრმა ფინანსიური კრიზისი, რომლის მიზეზების შეგნება კიდევ არა სურს საფრანგეთის პარლამენტს, რადგან ის კიდევ იმ ილიუზიებით იკვებება, თითქოს გერმანია გადაიხდის. ინგლისის გაზეთის აზრით, ცხოვრება მხოლოთ თანდათან იძულებულს გახდის საფრანგეთს გამოერკვეს თავის ნამდვილ მდგომარეობას, პარლამენტი თავისი ნაციონალური ბლოკით უკარნახებს თავის ნებას ბრიანს და თუ ბრიანი წავიდა, მისი მოადგილე იქნება კიდევ უფრო მემარჯვენე, მაგრამ ისიც „ვერ შესძლებს ებრძოლოს ისტორიული ჩარხის ტრიალს“.

საფრანგეთის კრიტიკულმა მდგომარეობამ ჰპოვა თავის გამოხატულება სენატორ შერონის მოხსენებაში, რომლის ადგილები მოჰყავს გაზეთ „მატენს“ თავის 29 დეკემბრის ნომერში. 1914 წელში საფრანგეთის ვალი უდრიდა 28 მილიარდ ფრანკს, 1918 წელში—171 მილიარდს, ხოლო 1921 წელში—328 მილიარდ ფრანკს. მოჰყავს რა ეს ადგილები „მატენი“ ამბობს: „ომის პირველი წელიწადი დაგვიჯდა ჩვენ 143 მილიარდი ფრანკი, 3 წლის მშვიდობიანობა კი—197 მილიარდი. ამნაირათ მოპოებული მშვიდობიანობა გვიჯდება ომზე უფრო ძვირათ“. ქვევით არჩევს რა საფრანგეთის სახელმწიფოს გადიდებულ ვალის ნაწილებს, ავტორი ამბობს, რომ საფრანგეთმა დახარჯა 70 მილიარდი დანგრეული რაიონების აღსადგენათ და დასახიჩრებულთათვის დასარიგებლათ, ე. ი. ის, რაც მის მტრებს უნდა გაეღოთ ახლობელი 8 წლის განმავლობაში. შერონის გამოანგარიშებით, საფრანგეთს შეუძლია მიიღოს სულ ბევრი-ბევრი 45 მილიარდი, უნდა დახარჯოს კი იმ დანგრეული რაიონების აღსადგენათ, რომლებიც გერმანიამ დაანგრია, 100 მილიარდი...

შერონის აზრით 1930 წლის 1 იანვრისათვის საფრანგეთის ვალი გაიზრდება 425 მილიარდამდე, რომლისთვისაც საჭირო იქნება წლიურათ 21 მილიარდი, როგორც სარგებელი. ხოლო ჩვენი შემოსავალი 1920 წელში უდრიდა 19 მილიარდს, 1921 წელში 23 მილიარდს. მაშ როგორ ვიცხოვროთ ჩვენ?—ამბობს გაზეთი.

ჩვენ ვდგევართ ისეთი შედეგის წინ, როგორსაც მოელოდა მარშალი ფოში: „არც ფინანსიური, არც სამხედრო უზრუნველყოფა“.

„ეს არის არა ჯამის გაკეთება,— ამბობს ავტორი, არამედ მსჯავრი იმათ წინააღმდეგ, რომლებმაც ჩაგვაყენეს ასეთ მდგომარეობაში. ჩვენ ვდგევართ საშიშ ფაქტების წინ და თავს ვერ მოვიტყუებთ იმით, რომ არ ვცნობთ მათ. ჩვენ შეგვიძლია ახლა ამ სწორი ცნობების მიხედვით შევადგინოთ პოლიტიკური გეგმა. მაგრამ თუ ჩვენ ვერ შევსძელით გამოვასწოროთ მდგომარეობა, **ჩვენ დავიმსახურებთ ჩვენ რევოლიუციას**“.

„პრავდა“.

ფითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

კომპარტიის ყრილობა.

ერევანი, 28 იანვარი. კომპარტიის ყრილობის პირველ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლუკაშინი, რომელმაც დაწვრილებით შეაფასა პირველი ყრილობა. ყრილობის სახელით მისალმების დეპეშები გაუგზავნეს რ. კ. პ. ცეკას, კომინტერნის აღმასკომს საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას და მის ბელადს ამხ. ტროცკის, სომხეთის წითელ არმიას და მის ბელადს ამხ. მიასნიკიანს, აზერბეიჯანისა და საქართველოს კომპარტიების ყრილობებს. სხდომის საზეიმო ნაწილის შემდეგ ამოირჩიეს პრეზიდიუმი და დაამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი: კომპარტიის პოლიტიკა, საორგანიზაციო საკითხები, მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, მოხსენება ფედერაციის შესახებ, მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მიწის პოლიტიკის და გაზაფხულის თესვის კამპანიები.

საბჭოების ყრილობის დახურვა.

ერევნის მაზრის საბჭოების ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობაზე გამოცხადდა 185 დეპუტატი, რომლებიც ნაციონალური მხრით იყოფიან: სომეხი—121, რუსი—50, თათარი—11 და აისორი—1. დეპუტატების შემადგენლობაში 111 გლეხია და 33 მუშა. აღმასრულებელ კომიტეტში ერთხმად გავიდა კომპარტიის სია.

მიწადმოქმედების კომისარიატში.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს ადგილობრივად მიწის კომიტეტების ყრილობები იმ საკითხების შესასწავლად, რომლებიც დაკავშირებული არიან მომავალ მიწის გაყოფასთან და მიწის საკითხის მოწესრიგებასთან.

სახელმწიფო თეატრის გახსნა.

25 იანვარს მოხდა სახელმწიფო თეატრის საზეიმო გახსნა, სადაც მოწვეული იყვენ სახალხო კომისრები და დაწესებულების წარმომადგენლები. წარმოადგინეს სუნდუკიანცის პიესა „პეპო“. სპექტაკლის წინ მსახიობმა ალიხანიანმა დაახასიათა სუნდუკიანცის პიროვნება და სურვილი გამოსთქვა, რომ მთავრობამ მარადიულად აქციოს დრამატურგის, მებრძოლის და ჩაგრულ პროლეტარიატის ინტერესების დამცველის სახელი ძეგლის დადგმით. ამ წინადადებამ გამოიწვია საერთო კმაყოფილება. სპექტაკლი ჩატარდა დიდი მხატვრული წარმატებით.

რუსეთი

მოსკოვის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი, 26 იანვარი. რადიო. ორ დღეს, 23 და 24 იანვარს, მოსკოვის საბჭოში აირჩიეს 399 დეპუტატი, რომელთაგან 367 კომუნისტია და 32 უპარტიო. სარაიონო საბჭოებში აირჩიეს 342 დეპუტატი, რომელთაგან 264 კომუნისტია და უპ რტიო. არჩევნების მეორე დღემ უფრო ნათლად დაამტკიცა მშრომელთა ნდობა რ. კ. პ—სადმი. ამორჩეულ უპარტიოების კანდიდატურა მომეტებულ ნაწილად წამოყენებულია კომუჯრედების მიერ. ჩრდილოეთ გზების ნევის სამსახურის მუშებმა აირჩიეს მატროსი ბადინი, რომელსაც საფრანგეთის მთავრობამ კატორგა მიუსაჯა. მენშევიკები დიდის ამბით მარცხდებიან, იქაც კი, სადაც აქამდე მათ ბუდე ქონდათ გაკეთებული.

მოსკოვი, 29 იან. რადიო. 27 იანვარს მოსკოვის საბჭოში აირჩიეს 181 დეპუტატი, მათ შორის 163 კომუნისტი, 18 უპარტიო. აქამდე სულ არჩეულია—806 დეპუტატი, რომელთაგან 730 კომუნისტია და 75 უპარტიო.

წითელ არმიის მეოთხე წლისთავი.

მოსკოვი, 27 იან. რადიო. თანახმად დადგენილებისა წითელი არმიის მე-4 წლისთავის დღესასწაულის შესახებ, სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, მიღებულ იქმნას შემდეგი ღონისძიებანი: 1) წლისთავის აღსანიშნავად გაიმართოს საბჭოების და აღმასკომების საზეიმო სხდომა, წითელ არმიის წლისთავისა და მის გმირების პატივსაცემლად. 2) იმ მიწერილ ჯარის ნაწილებში, რომლებიც დაბინავებულნი არიან აღმასკოსის ტერიტორიის გარეშე, უნდა გაიგზავნენ უკანასკნელის წარმომადგენელნი. 3) ადგილობრივ აღმასკომების ხარჯით გარნიზონის წითელ არმიელებს დაეთმოს ყველა ადგილები თეატრებში და წითელ-არმიელებისთვის მოეწყოს სპეციალური წარმოდგენები, კონცერტები და კინო-სეანსები. 4) წლისთავის ასრულდეს ყველაფერი, რასაც აღმასკომი წითელ არმიას დაპირდა, მაგრამ რაიმე მიზეზით ვერ შეასრულა არმიის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობის და მის სულიერ საჭიროების დაკმაყოფილების სფეროში. (კაზარმების რემონტი და მოწყობა, გათბობა და განათება, ქვეშაგები, აბანო და სამრეცხავო, საპარიკმახერო და საზოგადოთ სანიტარული ღონისძიებანი. მოწყობა და მომარაგება წითელ-არმიელთა სკოლებისა, კლუბებისა, ბიბლიოთეკებისა, საავადმყოფოებისა და სხვ.) 5) ხელი შეეწყოს კაზარმების მდგომარეობას და ყოველი ღონისძიება მიღებულ იქმნას წლისთავის წარჩინებით ჩასატარებლად. 6) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამოქალაქო ომის ინვალიდებს და აგრეთვე ავადმყოფ და დაჭრილ წითელ-არმიელებს. 7) დღესასწაულში და საზეიმო სხდომაში მონაწილეობა მიაღებინონ დემობილიზაციით დათხოვნილ წითელ-არმიელებს, 8) დღესასწაულის მთელი ორგანიზაცია ჩატარდეს ადგილობრივ სარდლობასთან შეთანხმებით.

სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმას. კომ. თავმჯდომარე **კალინინი**.

მდივანი **ენუქიძე**.

გენუას კონფერენციისათვის

კონფერენციის დღის წესრიგი.

ლონდონი. 12 იანვარი. უმაღლეს საბჭოს ოფიციალურ ცნობაში გენუას კონფერენციის შესახებ მოყვანილია დღიურ წესრიგის 14 მუხლი რომელიც იყოფა ფინანსიურზე და ეკონომიურზე. პირველ ჯგუფში შედის ის მუხლები, რომლებიც ეხებიან სავალიუტოს, სახელმწიფო და კერძო კრედიტებს, ბიუჯეტებს, საემისიო ბანკებს და სხვა.—მეორეში კი ის მუხლები, რომლებიც ეხებიან საგარეო ვაჭრობას, ტრანსპორტს, მრეწველობისადმი დახმარების აღმოჩენას, უცხო კრედიტების სასამართლოს მიერ მაფრველობას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიას. საკითხი ოფიციალურ მოკავშირეთა შორის ვალების შესახებ დღიურ წესრიგში არ არის შეტანილი.

ამერიკა და კონფერენცია.

განოვერი. 27 იანვარი. (რადიო). სენატორ ბრანდზეიმ. რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა ამერიკის სენატში გენუას კონფერენციის საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ პრეზიდენტ გარდინგთან თათბირის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადათ ამერიკა თავს იკავებს გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებიდან. ამ ცნობას გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს გერმანიის პრესა, „დეიჩე ალგემაინე ციტუნგი“ აღნიშნავს, რომ მსგავსი გადაწყვეტილება სრულიადაც არ შეეფერება იმ მიზნებს და ამოცანებს, რომლის შესახებაც არა ერთხელ ულიპარაკნია გარდინგს, როდესაც იგი ეხებოდა ხოლმე საერთაშორისო დამოკიდებულებას.

რომი. 27 იანვარი, (რადიო). ამერიკის პრესა ადასტურებს ცნობას ამერიკის მიერ გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე უარის შესახებ. უარის მიზეზი უმთავრესად არის ის პოზიცია, რომელიც ეჭირა საფრანგეთის ვაშინგტონის კონფერენციაზე და პუანკარეს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნა.

ბორდო. 28 იანვარი, (რადიო). საფრანგეთის პრესა მასთან მემარცხენე პრესაც მთელ რიგ წერილებს უძღვნის გენუას კონფერენციას, გაზეთ „პოპიულერი“ გარკვევით ამტკიცებს, რომ კონფერენცია დამთავრდება მარცხით, თუ მაში მონაწილეობას არ მიიღებს ამერიკის მთავრობა.

პარიზი. 28 იანვარი, (რადიო), სარწმუნო წყაროების მიხედვით ამერიკის მიერ უარის თქმა გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ გამოწვეულია იმ საშიშროებით, რომ გენუას კონფერენცია განიხილავს შედარებით კერძოს, და არა საერთო ინტერესებს. შეერთებულ შტატების მთავრობა მიესალმებოდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას მას შემდეგ, როგორც კი ცოტათი მაინც დამყარდებოდა ევროპაში ეკონომიური წონასწორობა.

გერმანია კონფერენციაზე.

რომი. 28 იანვარი, (რადიო), ვირტმა, წარმოსთქვა რა სიტყვა რეიხსტაგში ევროპის აღდგენის შესახებ, განაცხადა: „გერმანიის დელეგატები გენუას კონფერენციაზე გააცნობენ ევროპის წარმომადგენლებს გერმანიის ნამდვილ ფ ნანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას“.

ნაუენი. 27 იანვარი. (რადიო). გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ გერმანია წარდგება გენუაში არა „მათხოვარის—ლატაკის“ სახით, არამედ როგორც ნიღაბ ახდილი რაინდი, ხალხთა შეთანხმებაში მონაწილეობის მისაღებად.

გენუა და კონსორციუმი.

ლონდონი. 12 იანვარი. „ნიუიორკ-გერალდი“ იუწყება: თუ რუსეთი დ ამტკიცებს იმ პირობებს, რომელიც წარედგინება მას გენუის კონფერენციაზე, მაშინვე შეუდგება მუშაობას კონსორციუმი. განზრახულია ესეთი წესი: რუსეთის მთავრობა მისცემს შეკვეთებს, კონსორციუმის ლონდონის სამართველოს საშუალებით, რომელიც გაანაწილებს შეკვეთებს ეროვნულ კამპანიათა შორის, და ესენი კი თავის მხრივ გადასცემენ შეკვეთებს შესასრულებლად კერძო საზოგადოებებს. გაზეთს ეჭვიც არ ეპარება, რომ ამერიკა მიიღებს მონაწილეობას კონსორციუმში.

კონფერენციის შემადგენლობა.

რომი, 29 იანვარი, (იტალიის ტელეგრაფის სააგენტოს რადიო). იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღებულობს ცნობებს დელეგაციების შესახებ, რომლებიც დანიშნეს სხვა და სხვა სახელმწიფოებმა გენუის კონფერენციაზე.

განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების მოწვევის საკითხი.

ლონდონი, 11 იანვარი. „დეილ-ტელეგრაფი“ იუწყება: მოკავშირეთა შორის კამათი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა იქნან კონფერენციაზე მოწვეული განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა წარმომადგენლები, მაგალითად: უკრაინისა და კავკასიის რესპუბლიკათა ან და ამ სახელმწიფოთა მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ამ ჟამად არიან განდევნილი. იყო გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ უკრაინა უნდა იქნეს შეყვანილი იმ მოწვევაში, რომელიც გაეგზავნა რუსეთს, რაც შეეხება კავკასიის რესპუბლიკებს, ვინაიდან ისინი არ არიან ევროპის სახელმწიფოები, ამისათვის მათი მოწვევა საჭირო არ არი. ამავე გაზეთის ცნობით ბრიანმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ამ თვალსაზრისს.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა გენუაში

ნაუენი, 29 იანვარი (რადიო). საერთაშორისო სავაჭრო პალატის აღმასრულებელმა კომიტეტმა პარიზში 27 იანვრის სხდომაზე, განიხილა საკითხი პალატის გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ, რადგანაც იქ. განხილული იქნება ეკონომიური საკითხები. ხმის უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს გენუას კონფერენციამ, არ შედის პალატის კომპენტეციაში. ამასთანავე გამოთქმულ იქნა სურვილი იმის შესახებ რათა ეცნობოს მთავრობებს, რომ ფინანსიურ-ეკონომიურ საკითხების ექსპერტთა საჭიროების დროს საერთაშორისო სავაჭრო პალატა მზათ არის წარადგინოს მათ განკარგულებაში ისეთი პირები, რომლებიც სპეციალურად გაცნობილი იქნებიან აღებულ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და ინტერესებთან.

კონფერენციის პროგრამა

ლონდონი. 11 იანვარი „დეილი-ნიუ“ იუწყება, რომ წესრიგი გენუას კონფერენციისათვის უკვე გამომუშავებულია და შესდგება 8 მუხლისაგან, ფულის ბრუნვა, ვალიუტა, საერთო საბანკო და სავაჭრო დამოკიდებულებანი შემოსატან და გასატან ტრანსპორტის საკითხი, საკრედიტო აპარატი, იურიდიული გარანტია ვაჭრობის აღდგენისათვის და ტეხნიკური დახმარება მეურნეობის აღსადგენად საერთაშორისო მასშტაბით.

ინტანტის დაშლა

საერთო კამპანიის გეგმა.

მოსკოვი. 30 იანვარი. რადიო). პუანკარე მოითხოვს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებმა დაამყარონ საერთო კამპანიის გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია დაარღვევს ვერსალის ხელშეკრულებას.

ინგლის საფრანგეთის მოლაპარაკება.

ბორდო. 28 იანვარი. რადიო. ლონდონში მყოფ საფრანგეთის ელჩს სენტ-ოლერს 27 იანვარს ქონდა პირველი თათბირი ლონდონში ლორდ კერზონთან ინგლის-საფრანგეთის კავშირის საკითხის შესახებ. სენტ-ოლერმა გამოაქვეყნა საფრანგეთის სახელით პირობები, რომლებიც საფრანგეთის აზრით უნდა იყოს კანაში განხილულ ხელშეკრულების პროექტის დამატებად. ამით დამთავრდა პირველი სხდომა. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო საჩქაროდ იხილავს საფრანგეთის წინადადებებს. ლორდ კერზონი იმუშავებს სპეციალურ მემორანდუმს, რომელიც შეტანილი იქნება ინგლისის მთავრობის მახლობელ სხდომაზე.

რომი, 28 იანვარი რადიო. ლონდონის პრესა აღნიშნავს ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შორის სოლიდარობის არ არსებობას, რომლებმაც დაიწყეს ინგლის-საფრანგეთის კავშირის პროექტის განხილვა. გაზეთები ლაპარაკობენ, რომ იმ დროს, როდესაც ინგლისი მიისწრაფის ევროპაში მშვიდობიანობის შექმნისაკენ, საფრანგეთი შეუდგა ახალ შეიარაღებას, შეხედულებათა ამგვარი განსხვავება იწვევს ინგლის-საფრანგეთის კავშირისა და გარანტიების შესახებ შეთანხმების დამყარების შესაძლებლობას.

ნაუენი, 28 იანვარი რადიო. ლონდონის ოფიციალური წრეები დიდის ინტერესით ეპყრობიან კავშირების შესახებ დაწყებულ მოლაპარაკებას. დიპლომატიურ წრეებში არც კი ეჭვობენ იმის შესახებ, რომ კავშირი იქნება დადებული. ბრიტანიის მთავრობა შეუთანხმდება საფრანგეთს ზოგიერთ შესაძლებელ დათმობით. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ის თავის დადგენილებანი, რომლებიც ეხება საფრანგეთის შეიარაღებას ხმელეთზე და ზღვაზე. ამ მოთხოვნილებებზე უარის თქმა, ლორდ კერზონის სიტყვებით, შეუთანხმებელია იმ წინადადებებთან, რომლებსაც ინგლისი იძლეოდა წინად შეიარაღების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემა.

რომი, 27 იანვარი, (რადიო). ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ გაიხსნება 1 თებერვალს.

რომი, 28 იანვარი, (რადიო). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლორდ კერზონმა დაამთავრა ნოტის რედაქცია, რომელიც შეიცავს ინგლისის პირობებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის შესახებ. ანტანტის ძირითადი პირობები ასეთია: ბერძნები ცლიან სმირნის რაიონს, უნდა გასწორდეს ოსმალეთის საზღვრები, საკითხი დარდანელის შესახებ ღიად რჩება.

ლონდონი. 27 ინვარი (რადიო) „დეილ ტელეგრაფი“ ეხება რა მომავალ თათბირს, მცირე აზიის საკითხის შესახებ სწერს: „ამბობენ, რომ პუანკარემ მიმართა ანგორის მთავრობას რაღაცა ნოტით. პუანკარე ანგორაში გაგზავნილ თავის დეპეშაში აღნიშნავს საფრანგეთის ახალ მთავრობის პოლიტიკას ქემალისტების მიმართ“. გაზეთის აზრით ეს დეპეშა აღმოსავლეთის საქმეების შესახებ მოლაპარაკების გახსნის წინ ძლიერ ხელს უშლის ამ მოლაპარაკებას, რადგანაც იწვევს ურთიერთ უნდობლობას. ჟურნალ „დედებას“ განცხადებით, ლონდონის პრესის ცნობები არ არის მართალი.

საფრანგეთის მოლალატეობა.

რომი. 29 იანვარი, (იტალიის დეპეშათა სააგენტოს (რადიო). „დეილ-ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდეტი ამტკუნებს საფრანგეთს იმაში, რომ მან აცნობა ანგორის მთავრობას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადასაწყვეტი ინგლისის პროექტი, რომლის წყალობითაც ძლიერ ძნელდება შეთანხმების გამოსამუშავებელი წინასწარი მუშაობა. ამ პროექტის თანახმად ინგლისმა უნდა მოითხოვოს ბერძნების ევაკუაცია სმირნის რაიონიდან. გაზეთ „ლიბერტი“ პროტესტს აცხადებს საფრანგეთის შესახებ გამოთქმულ ბრალდებათა წინააღმდეგ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ლონდონის პრესა ეძებს საბაბს საფრანგეთის გასაკიცხავად. „ტანი“-ც აგრეთვე გამოდის საფრანგეთის დამცველად და აღნიშნავს ლოიდ ჯორჯის მიერ პუანკარეს პოლიტიკის უსაფუძვლო განკიცხვას, რომელიც დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ იგი სთვლის თავის მამულიშვილიურ მოვალეობად მოითხოვს გერმანიისაგან მის ვალდებულებათა შესრულება.

შეთანხმების პირობები.

ბორდო, 28 იანვარი რადიო. „პტიპარიზიენი“ იუწყება, რომ ინგლის-საფრანგეთის შორის დაწყებულ მოლაპარაკების საგანს შეადგენს 4 საკითხი: 1. დამატებითი პუნქტები. რომლებიც წარადგინა საფრანგეთმა კანაში აღნიშნულ გარანტიების შესახებ ხელშეკრულებათა დასამატებლად, 2. საფრანგეთის წინადადება, რომელიც ეხება მცირე აზიის პრობლემას და მოკავშირეთა შუამდგომლობის პროექტი ბერძენ-ოსმალთა კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. 3) ტონაჟების საკითხი. საფრანგეთის მთავრობა იძლევა ტონაჟების ნავთსადგურის სამხედრო და საზღვაო ნეიტრალიტეტის გარანტიას სულთანის სუვერენიტეტის შენახვით და ბოლოს 4) გენუას კონფერენციის საკითხი, რადგანაც პუანკარემ გადასწყვიტა დაამყაროს ინგლისის მთავრობასთან შეთანხმება მთელ რიგ საკითხთა შესახებ, რომლების გადაწყვეტა მოსალოდნელია გენუაში.

ჰატარა ფელეტონი

ჩემი დეკლარაცია

(მიბაძვა გაზ. „ბარიკადი“-სა № 4)

ბატონებო! ეს არის ჩემი დეკლარაცი,
ამით სცნობთ ონისიმე ვინ არის, რა კაცია?
ყველაზე პირველ მგოსნად მე ვარ საქართველოში,
თუმცა ღა ამ ზამთარში არ დამირჩა კალოში,
ერთი ძველი ფრენჩი მაქვს, მასთან—ერთი გალიფე,
რაც შეეხება წულას, ლორის ქონით გავლიფე:
წყალი შიგ ვერ შეეონავს, ფეხი არ დასველდება
და ზამთრის გადალახვაც ალარ გამიძნელდება...
რაც შეეხება ლექსებს, ანუ პოეტიკასა,
შიგა ვსდგამ ოქროს ყანას, არა ვთესამ დიკასა!
სანიმუშოთ აქ მომყავს ჩემი ერთი ლექსი მე,
წაიკითხეთ და სცანით, ვინ არის ონისიმე?..

ლ ე ქ ს ი

მამალი ყივის:
ქათამი კაკანებს:
ბატი ყაყანებს:
იხვი კივკივებს:
ეს თავს მიტკივებს:
მეთევზეცა ბადესა შლის
და მუშაკი იქნევს ცელსა...
ბაღლინჯო შემოესია
ჩემს უდაბურ სარეცელსა:
მიკბინა:
ვიწყინე:
ავდექი:
ვიფრინე!..
დავწექი. ვვოცნებობ...
ოთახში მე ვმეფობ...
მე ვარ თვ ოთ დუმილი!..
ბაღლინჯო, ცდომილი:
შევრეკე კედელში:
მარტო ვარ და ბნელში
მე ვხედავ ქიმერებს:
ვინ არ დამიჯერებს?
შემოდის ოფელია:
ბანძა დიდი სოფელია:
გადის ბეატრიჩე:
თეძო შევახლიჩე!..

მღერის დულცინე:
გამიცინა: გავუცინე.
— მზათ გახლავთ ეტლი!
ვინ არის მეეტლე?
— ეს ჩვენი პეტრე.
პეტრეს ხარაკტეროლოგია
მჭადი არის და ლობია!
ხოლო ჩემი ხარახტინი
არის ლექსის წერის ჟინი!..
ვინ სთქვა, რომ მე მიყვარს ჩინი?
მე თვით ვაძლევ ჩინებს,
ვინც უკეთეს ლექსს მოაკვარახჭინებს!..
მე მას გავხდი ლორდათ,
ანუ დედა-მიწის ნორდათ.
მე თვითონ ვარ დიამეტრი:
მთლად დედამიწის ბერკეტი!..
ჩემთან რაა ბოდლერი, ან რემბო?
უბრალო ვინმე არ გეგონოთ,
ძმებო!..
მე ოქროს...
ნაგრამ ამ დროს
გამომელვიძა:
არ შეშინდეთ:
ეს მიწა იძრა!..

ონისიმე.

ფოთელ-აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა

ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

მოსკოვი. 26 იანვარი, (რადიო). „თანამედროვე ხალხთა მთავარ განსხვავებას, ამბობს ამხ. ზინოვიევი, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირველ რიგში წამოიჭრა არა ევროპის საკითხები, არამედ აზიისა—შორეულ აღმოსავლეთის საკითხები. თქვენ კარგად გახსოვთ ვაშინგტონის კონფერენციის დაპირებანი, რომელიც სცდილობდა გადაეწყვიტა განიარაღების საკითხი, რომელიც გვპირდებოდა კორეიის ჭრილობათა მორჩენას, ჩინეთის საკითხის გადაწყვეტას და შორეულ აღმოსავლეთის ხალხების გაბედნიერებას. ნამდვილად ეს კონფერენცია სცდილობდა შეეთანხმებია უტიფარი იმპერიალისტური ყაჩაღობა ფარისევლობასა, ორსულოვნობასა და პირმოთნეობასთან. 1921 წლის 10 დეკემბერი იქნება ერთი შავი დღეთაგანი კაცობრიობის ისტორიაში. 10 დეკემბერს დასდვეს შეთანხმება ოთხმა, ამ ჟამად ყველაზე უფრო ძლიერმა იმპერიალისტურმა მთავრობებმა—ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის დ ამერიკისამ. სიტყვა კორეია არც კი წარმოუთქვამს კონფერენციას, რაც არ უშლიდა ხელს ამ ვაჟბატონებს ეწარმოებიათ კულისებს იქით აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხრჩოთ შემდეგ კორეია. ჩინეთის პრობლემა შექმნილია ამერიკული აზრით, ის გულისხმობს ამერიკის კაპიტალისათვის ჩინეთის კარების გაღებას, ეს კაპიტალი იმედოვნებს დაამარცხოს ჩინეთის ბაზარზე ყველა ქვეყნის სხვა კაპიტალისტები. მანგოლიის პრობლემით უნდათ ისარგებლონ ახლა იაპონიის იმპერიალისტებმა, რომ ვითომდა პატრიოტულ დემოკრატიზმის დროშის ქვეშ გაამწვავონ დამოკიდებულება მანგოლეთისა და ჩინეთის შორის. იმპერიალისტურ ომამდის უკვე იყო გამოანგარიშებული, რომ ერთი ინგლისელი ვაჭარი საშუალოდ თავის ახალშენებში ეწეოდა არა ნაკლებ 800 ადგილობრივ მკვიდრის ექსპლოატაციას. ვადევნებთ რა თვალყურს ვაშინგტონის კონფერენციის დისკუსიებს, გვაგონდება განსვენებულ ჟორესის სიტყვები: „ახლანდელ მთავრობათა წარმომადგენლები მოქმედებენ შემდეგი ფორმულით: მე გავცარცვავ ქუჩის ამ კუთხეში და არ მივაქცევ ყურადღებას მას თუ შენ, როგორ ცარცვავ იმ კუთხეში“. ვაშინგტონის კონფერენციას განსაკუთრებული სიცხადით უნდა დაენახვებინა, რომ არც ერთი შეგნებული კაცი არ უნდა ელოდეს იმპერიალიზმისაგან არაფერს გარდა ახალ შევიწროებისა და ახალ ექსპლოატაციისა“.

ჩინეთის დელეგატის სიტყვა.

მოსკოვი. 27 იანვარი. (რადიო). შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობის მესამე სხდომაზე გამოვიდა ჩინეთის დელეგატი ლიგიენგი: ჩინე-

თი, სთქვა ორატორმა, წარმოადგენს ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეყანას 400 მილიონ კაცით დასახლებულს. წარსულ საუკუნეებში დაიწყო ჩინეთის ეკონომიური დაჩაგვრა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება ევროპის სახელმწიფოთა ძლიერების ზრდასთან ერთათ. მაგრამ ჩინეთში იზრდება ძლიერი მუშათა კლასიც. ჩინეთის პროლეტარიატის რიცხვი ამ ჟამათ უდრის 200 მილიონს; იგი იმყოფება მეტის მეტათ საცოდავ ყოფაში. ეკონომიური მარყუში უფრო და უფრო ვიწროვდება: ჩინეთის ვალი ადის რამდენსამე მილიარდ დოლარამდე. ჩინეთის წინაშე სდგას ამოცანა უცხოეთის უღლიდან განთავისუფლებისა. ამისთვის აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციონურ ძალების და პირველად ყოვლის უღარიბეს ხალხის გაერთიანება. შევერთდეთ კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს“. ჩინეთის მეორე დელეგატმა ბონ-კიენგმა სთქვა: „მიუხედავათ იმისა, რომ ჩინეთშა ორი მილიონი მუშაა, იქ არ არსებობს არც ერთი კანონი შრომის დაცვის შესახებ. მუშებმა წერაკითხვა არ იციან, უვიცნი და დამშეულნი არიან, ქალებისა და ბავშვების შრომით ბოროტათ სარგებლობენ. 1920 წელს გაჩნდა პირველი პროფკავშირები მუშებმა უკვე მოახდინეს რამდენიმე დიდი გაფიცვა. ჩვენი ამოცანაა—გავაერთიანოთ ჩინეთის უზარმაზარი მშრომელთა მასსები კომუნ. ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და წავიყვანოთ ისინი იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ოტრეულ აღმოსავლეთის ამბები

პარტიზანები იმარჯვებენ.

მოსკოვი. 27 იანვარი, (რადიო). ჩიტადან 23 იანვრის თარიღით იუწყებიან, რომ წითელი პარტიზანები გამარჯვებით მოქმედებენ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. ამურის ოლქის ყველა მხრიდან გზავნიან რეზოლიუციებს იმის შესახებ, რომ მშრომელ ხალხს შეუდრეკლათ აქვს გადაწყვეტილი აღსდგეს დასაცველათ დათრგუნულ (დამახინჯებულია)...

— სახალხო-რევოლიუციონურ ჯარის ოპერატიული ცნობა: მტრის ზურგში იზრდება პარტიზანული მოძრაობა. ამურის გლეხებმა სულ ყველამ მოკიდეს იარაღს ხელი. წითელმა პარტიზანებმა ნიკოლსკ-უსურისკის რაიონში დაიჭიროს სოფლები. სადგურ როზენგატოვკას და იმანის ნაწილში რამდენიმე ხიდი ააფეთქეს. წითელი პარტიზანები დაეცნენ სადგურ იმანს.

კაპელის ჯარის კატასტროფიული მდგომარეობა.

კაპელის ჯარის მდგომარეობის შესახებ მოხსენებიდან, რომელიც გააკეთეს მერკულობის სახალხო კრების წევრთა სხდომაზე, გამოირკვა, რომ კაპელის ჯარი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. ჯარის კაცები რამდენიმე დღეს არ იღებენ ხოლმე პურს; მათ თბილი ტანისამოსიც არა აქვთ. უკმაყოფილება ჯარში იზრდება. სახალხო-რევოლიუციონურ ჯარის წინააღმდეგობამ საბოლოოთ ჩაშალა კაპელის მომხრეების შეტევის გეგმა. პარტიზანთა რაზმები მათ აწუხებენ, უნგრევენ გზებს. სატრანსპორტო მატარებლები იძულებულნი არიან იმოძრაონ ჯავშნიან მატარებლების თანხლებით. ხიდების დანგრევის გამო ხაბაროვსკამდე სამჯერ უხდებათ გადაჯდომა და ვაგონების გამოცვლა. კონფისკაცია და რეკვიზიცია გაჩაღებულია. გლეხები საქონელს მალვენ და პარტიზანულ რაზმებში შედიან.

თეთრგვარდიელთა დატყვევება.

ჩიტა. 25 იანვარი, (რადიო). ურგულში (მანგოლია) მოიყვანეს ტყვედ ჩავარდნილი გენერალ ბაკიჩი და მისი რამის სხვა გამოჩენილი თეთრგვარდიელები.

კაპელის ჯარი ალყა შემორტყმულია.

ხარბინიდან იტყობინებიან, რომ იაპონიიდან მოსულ ცნობათა თანახმად კაპელის ლაშქარი ხაბაროვის რაიონში ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია პარტიზანების მიერ. თვით ხაბაროვთან იმყოფება წითელი რუსჩინელთა ნაწილები.

იაპონიის ჯარის ევაკუაცია.

რომი. 28 იანვარი, (რადიო). იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონიამ გადასწყვიტა გაიყვანოს თავის ჯარები ციმბირიდან.

ქრონიკა

✦ კრედიტი საქალაქო აღწერისთვის. საერთო საქალაქო აღწერის კრედიტების ანგარიშში ამ აღწერის წინასწარ ხარჯებისთვის მიცემულია 300 მილიონი მანეთი.

✦ სისხლის სამართლის მაძებარ განყოფილების მოქმედება. წარსულ წლის 15 დეკემბრიდან ამა წლის 15 იანვრამდე სისხლის სამართლის მაძებარ განყოფილების ცნობით, თბილისში მოხდა 2 შეიარაღებული დაცემა,—ორივეს მონაწილენი აღმოაჩინეს, და 65 ქურდობა, რომელთაგან აღმოაჩინეს 15 შემთხვევის მონაწილენი.

თეატრი და ხელოვნება

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საღამო.

ორშაბათს, 30 იანვარს, რუსთაველის თეატრში გაიმართა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ინტერნაციონალური საღამო, რომელიც შეიცავდა ოთხ განყოფილებას.

საღამოს ხსნის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სანდრო ეული, რომლის სიტყვას მოჰყვა ინტერნაციონალი ქართულად კ. ფოცხვერაშვილის გუნდის მიერ შესრულებული.

სიტყვებს ამბობენ: ამხ. რაჟდენ კალაძე, ქართულად, ამხ. ედელსონი, რუსულად, პოეტი აკოპ აკოპიანი, სომხურად და გუსეინ სეიმიხი თათრულად. საღამოს ესალმება მოსკოვის ასოციაციის სახელით მგოსანი ტანდიტი. სიტყვებს შუა უკრავს სამხედრო მუსიკა. მეორე ნაწილში კ. ფოცხვერაშვილის გუნდი ასრულებს ხალხურ სიმღერებს.

შემდეგ სცენაზე გამოდიან მგოსნები: ზომლეთელი, შინატეხელი, გარსევანიშვილი, პეტროსიანი, ლისაშვილი, ავეტიანი და ჩხეიძე. რუს მგოსან ამხ. კირილოვის ლექსებს ჰკითხულობს მსახიობი მარგარიტოვი.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე მუშა მგოსნების გამოსვლა, რასაც გულწრფელად უკრავენ ტაშს და უმართავენ ოვაციებს.

მესამე ნაწილში სცენაზე ჩნდება სომხური გუნდი სარდარიანისა, რომელიც სომხურათ და რუსულად ასრულებს რამდენიმე სიმღერას, რის შემდეგ ჰკითხულობენ თავიანთ ლექსებს მგოსნები: აკოპიანი, სვანიძე, იონა ვაკელი და სხვები.

ეს ნაწილი თავდება სანდრო ეულის ლექსით: „ჩვენი კოშკი“, რომელიც ავტორმა წაიკითხა როიალის აკომპანიმენტით.

მეოთხე განყოფილებაში დადგმულ იქნა ვერხარნის ცნობილ თხზულების „აჯანყების“ ინსცენიროვკა, რამაც მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა.

რკინის-გზის სკოლეგის მდგომარეობა

(სახ. განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება სწარმოებს რკინის გზის სასწავლებლების სახ. განათლ. კომისარიატის ხელში გადასვლის შესახებ, მასწავლებლები და თვით შკოლებიც ჩავარდენ უხერხულ მდგომარეობაში.

რკინის გზელების ადგილობრივი კავშირები, როგორც მაგალითათ ხაშურში, როდესაც მასწავლებლები მათ მიმართავდნენ სხვადასხვა თხოვნით სასწავლებლების საჭიროებისათვის, უთითებდნენ ადგილობრივ განათლების განყოფილებებზე, ეს უკანასკნელნი კი პირველზე და ამნაირად მასწავლებლებს უხდებოდა ამ ორ დაწესებულებათა შორის უნაყოფო სიარული.

დღეს, როდესაც მდგომარეობა გამორკვეულია,—რკინის გზის შკოლები გადასულია სახ. განათლ. კომისარიატის გამგეობლობაში, მდგომარეობა მუშა-მოსამსახურეებისა რჩება იგივე. შკოლების საჭიროებისათვის მიმართულ გამგეების თხოვნაზე, ხაშურის განათლების განყოფილება უპასუხებს მხოლოდ დაპირებით, ვინაიდან მას არ აქვს საშუალება მატერიალურად დააკმაყოფილოს შკოლები.

ამის დასამტკიცებლათ, ზსენებულ შკოლების ადგილობრივ კომიტეტს ხელთ აქვს არა ერთი და ორი ფაქტი. ამ მდგომარეობამ, როგორც კომიტეტი, აგრედვე სასწავლებლების ადმინისტრაცია და თვით მასწავლებლებიც დააფიქრა. ამ უკანასკნელებმა საერთო კრებაც კი მოიწვიეს და მსჯელობა ჰქონდათ შკოლების და მისი მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის შესახებ.

რკინის გზა, როგორც ძლიერი ორგანიზაციის მქონე, დიდ დახმარებას უწევდა თავის მუშა-მოსამსახურეთა შკოლების აღმზრდელთ და ეს გარემოება იწვევდა ბევრი მასწავლებლის ლტოლვას ამ შკოლებისაკენ, რის გამო სწავლა-აღზრდის საქმე, შედარებით, კარგად მიმდინარეობდა. დღეს კი, როდესაც ამ ძლიერმა ორგანიზაციამ ნებსით, თუ უნებლიეთ აიღო ხელი ხსენებულ შკოლებზე, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ხანი, არ არის ამის შემდეგ, ამ გარემოებამ საკმაო კვალი დაჩინა სწავლა აღზრდის ნორმალურად წარმოების საქმეს. ეს მით უფრო სავალალოა, რომ რკინის გზის ადმინისტრაცია, კულტგანათლების განყოფილების სახით, როგორც ვიცით, სრული თანახმა იყო სახ. განათლ. კომისარიატის ხელში გადასულიყო იდეური ხელმძღვანელობა შკოლებისა, მხოლოდ, მატერიალურად დაკმაყოფილება კი, რომელსაც დიდძალი თანხა სჭირდება, ისევ რკინის გზის კულტგანათლების განყოფილების ხელში ყოფილიყო. ასეთი დაბნეულობა ამ საქმისა, მიუხედავათ ამ საქმის მძიმე პირობებისა, თანამშრომლობა ითქვას, რომ ხსენებულ შკოლებს აყვავების გზაზე დააყენებდა, მაგრამ, სამწუხაროთ, საქმემ მიიღო ფორმალურად სწორი ხასიათი, ფაქტიურად კი მრუდე და ცუდი. ბეცი უნდა იყოს აღმზრდელი, რომ არ ესმოდეს შინაარსი და მნიშვნელობა განათლების დარგის გაერთიანებისა და მისი მთლიანობისა მაგრამ, თუ ეს გაერთიანება, ამა თუ იმ მიზეზით, ნორმალური კალაპოტიდან აგდებს საქმეს და მის მიმდინარეობას ხელს უშლის, ცხადია შინაარსი არ შეიძლება რომ ფორმას შეეწიროს.

ხაშურის შკოლების ადგილობრივმა კომიტეტმა, საჭიროთ მიიჩნია გაეგო ადგილობრივ განათლების განყოფილების აზრი იმის შესახებ შეუძლია თუ არა რკინის გზის მატერიალურად დაუხმარებლადშენახვა რკ. გზ. შკოლებისა, რომლებსაც, როგორც რემონტის, სათბობი მასალის, სურსათ სანოვაგის და ჯამაგირების სახით სჭირდება ამ ჟამად მიუცილებელი დახმარება, რომ სწავლა აღზრდის საქმე დაახლოვებით ნორმალურ პირობებში იქნეს ჩაყენებული.

განათლების განყოფილება ადგილობრივ კომიტეტის მოხსენებას უდგენს ადგილობრივ რევკომს, რომელზედაც ეს უკანასკნელი სამართლიანად შემდეგ რეზოლიუციას აწერს: „ვინაიდან რკინის გზის სასწავლებლებს, როგორც ადგილკომის მოხსენებაშია ნათქვამი ესაჭიროება სასწრაფოთ დახმარება, ხაშურის რევკომი, რომელსაც ფინანსიური და ეკონომიური აპარატები არ აქვს ჯერჯერობით სავსებით მოწყობილი, მიზანშეწონილად და საჭიროდ სთვლის ხსენებულ შკოლების სამეურნეო ნაწილის დროებით მაინც ისევ რკინის-გზის ხელში დატოვებას“.

ეს რეზოლიუცია არ ნიშნავს იმას, თითქოს ადგილობრივ რევკომს არ უნდოდეს ამ შკოლების პატრონობა და დახმარება ან რომ ის ებათილებდეს ცენტრის გადაწყვეტილებას. პირიქით, ადგილობრივი რევკომი ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდება ხსენებულ შკოლებს და მზათ არის აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება, მაგრამ ის რევკომი, გაცნობილია, როგორც თავის ორგანიზაციას, აგრეთვე რკინისგზისასაც და ამჯობინებს რა ამ უკანასკნელის პატრონობას რკინის გზის ტრანსპორტი, ტორფის და სხვ. დამუშავებათა სარგებლობის უფლება, და აგრეთვე შეძლებასაც ისარგებლოს მონოპოლიზაცია მოხდენილ ნედლეულობით. ყველა დანარჩენ სახის მომარაგებისათვის ტრესტებს ეძლევათ შეძლება ისარგებლონ კონკურენციით რომელიც არსებობს ბაზარზე. მრეწველობის სწორი მომარაგებისათვის, და აგრეთვე იმისთვის, რომ შეაჩვიონ მომარაგების ორგანოები სწორ და საღი მუშაობას, სახელმწიფო მომარაგების ორგანოების სახით, ტრესტების მიმართ კერძო დამზადებელთა და შედის მასთან ფულით ანგარიშის გასწორების დამოკიდებულებაში, რომელიც განისაზღვრება ვალებით და ვალდებულებებით.

ტრესტები ინარჩუნებენ სრულ შეძლებას მომარაგების კითხვებში სარგებლობდენ იმ სახელმწიფო დაწესებულებების თუ კოოპერაციებისა და კერძო ორგანიზაციების საშვალებებით, რომლებიც უყენებენ მათ მომარაგების უფრო ხელსაყრელ პირობებს.

ტრესტები თავის მაღლა მდგომ ორგანოებთან შეთანხმებით იხსნებიან ყველა სახის სავალდებლო სახელმწიფო მამარაგებისაგან, გარდა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზაცია მოხდენილ საგნებისა და საშვალებებისაგან (ტრანსპორტი, ნავთი და სხვ.), შედიან ყველა ამ კითხვებზე ხელშეკრულობრივ ანგარიშის გასწორების დამოკიდებულებებში მომარაგების სახელმწიფო ორგანოებთან და პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე მომარაგების სამეურნეო და მიზანშეწონილ დაყენებისთვის. ყველა ურთიერთ ანგარიშის გასწორება ტრესტებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის წარმოებს საბანკო ოპერაციებით.

სახელმწიფო განაწილება, სახელმწიფო დანაკვეთები.

სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობასთან შეფარდებით სახელმწიფო ორგანოები: სახელმწიფო გეგმიანობა („გოსპლანი“) სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმი და საწარმოვო განყოფილებები ვალდებულებათ ხდიან ყველა ტრესტებს პირველ რიგში შეასრულონ წითელი არმიისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის აუცილებელი საჭირო სახელმწიფო დანაკვეთები. ამ დანაკვეთებისათვის სახელმწიფო ანგარიშს უსწორებს გატრესტებულ მრეწველობას განსაზღვრულ ფასის მიხედვით, რომელსაც აწესებენ შესაფერისი სახელმწიფო დაწესებულებები: ფასების კომიტეტები, ანგარიშის გამსწორებელი კომისიები და სხვ. შესაფერისი ტრესტების მონაწილეობით.

სახელმწიფო დანაკვეთები სავალდებულოა ტრესტებისთვის. და მათი შესრულების აკურატნობასა და კეთილ თვისებიანობას კონტროლს უწევენ განსაკუთრებული მიმღები კომისიები, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს დავალებით.

სახელმწიფო დანაკვეთები ნაწილდება იმ ანგარიშით, რომ დანარჩენ პირობებს თანაბრობის დროს, პროპორციონალურათ თანასწორათ შეხვდეს ისინი ყველა სახელმწიფო საწარმოვო დაწესებულებებს.

საწარმოვო პროგრამის დამტკიცების დროს განისაზღვრება სახელმწიფო დანაკვეთების რაოდენობა და პროდუკციის ნაწილი თავისუფალ ბაზრისთვის, წესდება ვალდებული პროგრამა ამ სახელმწიფო დანაკვეთების შესასრულებლათ, განისაზღვრება მატერიალურ მომარაგების თუ რომელ ნაწილს ღებულობს სახელმწიფო თავის თავზე, ამასთანავე წესდება განსაზღვრული ვალები სახელმწიფოს მიერ თავის თავზე აღებულ მომარაგების შესახებ ვალდებულებათა შესრულებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მომარაგების სახელმწიფო ორგანოები ვადაზე ვერ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, ტრესტი ამ ორგანოების ხარჯზე იძენს მისთვის აუცილებლათ საჭირო მარაგს.

ტრესტების სატრიალებელი ფონდები.

საწარმოვო პროგრამის გამომუშავების დროს წესდება ტრესტთან ერთად, სახელმწიფო დანაკვეთების თუ რა რაოდენობა ხვდება დასახელებულ ტრესტს, სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზაცია მოხდენილ მარადს და სახელმწიფო საშვალებათა რა რაოდენობა ეძლევა დასახელებულ ტრესტს თავის განკარგულებაში, როგორი ვადით და რა პირობებით. სახარჯავი სმეტის დანარჩენი ნაწილის უზრუნველსაყოფათ, ტრესტს ეძლევა უფლება მისი პროდუქციის განსაზღვრულ ნაწილზე, რომელიც ხდება მას სატრიალებელ ფონდათ. თუ ამ ფონდში შედის სახაზინო დანაკვეთები, უკანასკნელები ირიცხება სახელმწიფოზე განსაზღვრული საფასურის მიხედვით, რომელსაც აწესებს ფასების კომიტეტი ან ანგარიშის გამსწორებელი კომისიები. ფონდის დანარჩენ ნაწილს, ტრესტს უფლება აქვს თავის მიხედვით რეალიზაცია უყოს, ეს ნაწილი წესდება საწარმოვო პროგრამის გამომუშავების დროს თვითეულ ტრესტისათვის ცალკე, რაც შეიძლება მეტი სისწორით, და ტრესტს უფლება აქვს ოპერაცია უყოს თავის სატრიალებელ ფონდებს მთელი ოპერაციული წლის განმავლობაში, მაგრამ პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე თავის ფონდების ეკონომიურათ და გონიერათ გამოყენებისათვის და იმყოფება მაღლა მდგომ საწარმოვო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ.

ტრესტების ცალობით და ბითუმათ ვაჭრობა.

თავისი წარმოების პროდუქტებით, როგორც ბითუმათ, ისე ცალობით ვაჭრობა ტრესტს თავის საკუთარ ხელში უნდა ქონდეს მიქცეული, და არ ეკრძალება მისი გადაცემა მოსაშვალე სავაჭრო კაპიტალისათვის, თუ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არაა, რომლებსაც ყოველთვის აწესებენ მაღლა მდგომი ორგანოები.

ტრესტები ვალდებული არიან მოაწოდონ თავიანთი საქონელი პირველ რიგში სახელმწიფო მომხმარებელ დაწესებულებებს, როგორც მაგალითად, ცენტრალურ და საგუბერნიო მომარაგების განყოფილებებს, ქალაქის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებებს, სახელმწიფო უნივერსალურ მაღაზიებს და სხვ.

სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმი შესაფერის საწარმოვო განყოფილებებისა და პროფკავშირთა ცეკას საშვალებით ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ტრესტის, როგორც საწარმოვო, ისე კომერციულ მოღვაწეობას და ქმნის ამისათვის შესაფერის ორგანიზაციულ ფორმებს, რომლებშიაც ტრესტებს შეეძლებათ იმოქმედონ ფრიად სწრაფათ და მოძრავათ, როგორიც საჭიროა კერძო აქციონერულ დაწესებულებებისაგან.

ვ. ტარატეტა, ფ. კილევიცი, ს. პეროვი, ბ. როიზენმანი და პ. პუშკინი.

რედაქციისაგან: ვბეჭდავთ ამ თეზისებს მოსკოვის „ეკონომიჩესკაია ჟიზნიდან“, ვინაიდან ისინი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან კითხვებს ეხებიან.

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

გაგრძელება კამათის კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ, სიტყვა ეძლევა ამხ. სტუკოვს:

ამხ. სტუკოვი.

კონფერენციის მუშაობის დასასრულს ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომელიც შეიძლება დახასიათდეს შემდეგი სიტყვებით: „არ იყო გახვრეტილი ფარა, გაჩნდა სამი კაპიკი“. კონფერენციის ბოლოს ჩვენ წარმოგვიდგინეს უაღრესად საინტერესო მოხსენება, სადაც არის ძირითადი ხელმძღვანელი აზრი, განსაზღვრული დასკვნები ე. ი. მოხსენება. რომელიც ნათლად განსხვავდება წინა მოხსენებათაგან და განსაკუთრებით მოხსენებათაგან პარტიის განწმენდის შესახებ, რომელიც წარმოსდგა ჩვენს წინაშე სრულიად დაუვარცხნელი და გაუსალაშინებელი. შეიძლება ითქვას, რომ კონფერენცია დაბრუნდება უკან ერთგვარი კაპიტალით, რომელიც მას შეუძლიან დაატრიალოს უწყებული მოგებით. ამხ. ზინოვიევის მოხსენება და დამატებითი ცნობები ამხ. ტროცკისა, ფრიად მნიშვნელოვანია. ჩვენმა პარტიამ ბოლო ხანებში სრულიად აღარ იცის რა ხდება უცხოეთში ან რას წარმოადგენს საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენ პარტიას, როგორც ასეთს, მაინცა და მაინც ხშირად არ მიუღია მონაწილეობა ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და როდესაც გვეუბნებიან, რომ კონფერენციის აზრს ექნება დიდი მნიშვნელობა ეს ფრიად საყურადღებო მოვლენაა და უნდა ვისურვოთ, რომ პარტია მომავალშიაც იღებდეს ასეთ თუ ისეთ მონაწილეობას ამ საკითხების გადაწყვეტაში.

ეხლა არსებითად მსურს გამოვსთქვა რამოდენიმე მოსაზრება. უპირველესად ყოვლისა ამხ. ზინოვიევის დებულება სრულიად მისაღებია. მაგრამ არის ამხანაგები, რომელნიც სხვანაირად ფიქრობენ. კიდევ უარესი: არის ამხანაგები, რომელნიც ჩამოშორდნენ საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივას. ჩემი მრავალი დაკვირვება აქ მოსკოვში სპორედ ამას ადასტურებს. სულ მოკლე ხნის წინად, როდესაც ამხ. ბელაკუნთან ერთად ჩვენ მოვაწყეთ კომინტერნის კვირა, აშკარად აღმოჩნდა რომ ამ კვირეულის მიზანი იყო ამხანაგების ყურადღების მიპყრობა კომინტერნის, როგორც ასეთის, არსებობაზე, და კიდევ იმ ფაქტზე, რომ არსებობს ერთგვარი საერთაშორისო მოძრაობა, და რამდენადაც ეხლა ჩვენი პარტია იწყებს საერთაშორისო კითხვების განსჯაში შესვლას, იმდენად ამ მოვლენას უნდა მივესალმოთ. ამას ექნება დიდი შედეგი ჩვენი მუშაობისათვის აქ, ჩვენში.

ჩვენი პარტიის მრავალ წევრს, განსაკუთრებით ახალგაზდებს, საერთოდ არა აქვთ გათვალისწინებული თუ რას უნდა წარმოადგენდეს პროლეტარული რევოლიუცია. ამავე დროს, ჩვენი ბელადები, ხელმძღვანელი ამხანაგები თავისი გამოსვლებით და პრესით ხელს უწყობდნენ ისეთი ილიუზიის შექმნას, რომ აი, სადაც არის, საერთაშორისო რევოლიუცია გაიმარჯვებს, და რომ აქა და აქ მუშათა კლასმა თითქოს უკვე დაიპყრო ხელისუფლება ტ სხვ. მთელი ჩვენი ყოველდღიური საagიტაციო მუშაობა, ზეპირი და წერილობითი ქადაგებდა ამ მიმართულებით. და პარტიის ახალგაზრდა წევრთა გონებაში შეიქმნა ილიუზია, რომ აი, დღეს ხვალ დაჰკრავს საერთაშორისო რევოლიუციის საათი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რომ ჩვენი გაზეთის „პრავდას“ რედაქციაში მოხდა საბჭოთა რევოლიუცია ჩერნოგორიაში. ასეთი დამოკიდებულება იმისადმი, რაც უცხოეთში ხდება ყოვლად დაუშვებელია. ფაქტები, რომელთაც ხაძდვილად აქვთ ადგილი უცხოეთში, (საერთაშორისო რევოლიუციის განვითარება და სხვ.), ჩვენში ვერ ღებულობს სათანადო გაშუქებას. ცნობები მოდის ან შეკვეცილი, ან დამახინჯებული და ამ ნიადაგზე, შეუმოწმებელი ცნობების ნიადაგზე, ჩვენი ამხანაგები მიტინგებზე და კრებებზე, როგორც პარტიაში, ისე მუშათა მასებში, ყოველთვის იძლევიან გადამეტებულ ინფორმაციას, და მდგომარეობის გადამეტებულ შეფასებას. ამის გამო ბუნებრივია, რომ ძრავალ ამხანაგს წარმოდგენილი აქვს, რომ საერთაშორისო რევოლიუცია მოვა და გაიმარჯვებს ძალიან ჩქარა. ეხლა, მე ვფიქრობ იმ მოსაზრებებს, რომელნიც, აღნიშნული გარემოების დახასიათებისათვის გამოსთქვა ამხ. ზინოვიევმა, ჩვეხ უნდა დაუმატოთ, რომ საერთოდ, პროლეტარული რევოლიუცია თავისი ხასიათით, ძირიახად გახსვავდება ბურჟუაზიული რევოლიუციისაგან. ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. თუ არ ვსცდები, მარქსმა მოგვცა ამ მხრივ შესანიშნავი დახასიათება პროლეტარული რევოლიუციისა: მასში შეიძლება იქნეს უდიდესი მერყეობა, ქანაობა, შეტევითი აღტყინება იცვლება ასეთი თუ ისეთი სასოწარკვეთილებით, სკეპტიციზმით იმისადმი, რაც თვით ოევოლიუციამ გააკეთა. გამოვდივართ რა პროლეტარული რევოლიუციის ბუნების ასეთი დახასიათებიდან, ჩვენ უნდა გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ პროლეტარული რევოლიუცია არის მთელი ეპოქა. იმპერიალისტური სახელმწიფოების არსებობის პირობებში, ეგ რევოლიუცია, როგორც სწორად აღნიშნა ამხ. ზინოვიევმა, შეიძლება შეიცვალოს ომებით და სხვ.

ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში და ამხ. ზინოვიევმა თავის საბოლოო სიტყვაში, უფრო ხაზგასმით უნდა აღნიშნოს ხასიათი პროლეტარული რევოლიუციისა, რათა ჩვენს ამხანაგებს ამ მხრივ არ ჰქონდეთ არავითარი ილიუზიები, რათა მათ იცოდნენ: რა ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ, როგორია მსოფლიო მდგომარეობა და როგორ უნდა გაარკვიონ და შეაფასოთ მათ ესა თუ ის ისტორიული ფაქტი და მოვლენა.

ქვემოდ მე მინდა შევჩერდე შემდეგზე: ჩვენ ვაღიარეთ ზოგიერთი შეთანხმების საჭიროება მეორე და ორ ნახევარ ინტერნაციონალთან. ამხ. ზინოვიევმა გააშუქა ძირითადი შინაარსი ამ ტაქტიკური ნაბიჯისა. იგი გამოხატულია, როგორც უაღრესი რევოლიუციონური შინაარსი, მაგრამ აქ, ამხანაგებო, მაინც საჭიროა მეტი სისწორე. უნდა ვსთქვათ, რომ 1919 წლის მარტის 2-დან არსებობს კომუნისტური ინტერნაციონალი. ეს არის წითელი კომუნისტური მაჰმადი. იგი იდგა და ფიქრობდა, რომ ოპორტუნისტული მთა, ოპორტუნისტულად განწყობილი ევროპის პროლეტარიატის მასების სახით, მივა ამ მაჰმადთან. აღმოჩნდა,—მდგომარეობა ისეთია, რომ კომუნისტური მაჰმადისათვის საჭირო შეიქნა, რამდენიმეთ თვითონ მიუახლოვდეს ოპორტიუნისტულ მთას. და ეს სწორი ნაბიჯია, ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ, ვინაიდან ობიექტიური მდგომარეობა ისეთია, რომ ამ მხრივ ჩვენ უნდა წავიდეთ დათმობაზე; ეგ დათმობა, ობიექტიურად რევოლიუციონურია, იგი არ არის ოპორტუნიზმი, როგორც შეიძლება იფიქროს ზოგიერთმა ამხანაგმა. რაში გამოიხატება ჩვენი დათმობა? მე ავიღებ გერმანიის მაგალითს, ვინაიდან, როგორც ვიცით, ჩვენს მსჯელობაში, კამათში და კომინტერნის ტაქტიკის შენებაში გერმანიის განვითარებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ, მიუხედავად სასტიკი დამარცხებისა, გერმანია არის ცენტრი ევროპის კაპიტალიზმისა. ის, რაც გერმანიაში ხდება იქცევა საფუძვლად ჩვენი ტაქტიკური მოსაზრებისა და დასკვნებისა. მდგომარეობა გერმანიაში ისეთია, რომ შეიძლება ახლო მომავალში, აქაური მუშათა მასიური მოძრაობის ნიადაგზე, ჩვენ დაგვჭირდეს კოალიცია შეიდემანთან, და ეგრედწოდებული დროებითი მუშათა მთავრობის დაარსება. შევალთ თუ არა ჩვენ ასეთ მთავრობაში, ან თუ არ შევედით,—დაუჭერთ თუ არა მას მხარს—ეს არ ვიცით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ვიზიარებთ დროებითი მუშათა მთავრობის შექმნას. ბუნებრივია, რომ რუსული ორტოდოქსალური ბალშევიზმის თვალსაზრისით ჩვენი მთლიანი ხაზის თვალსაზრისით, ჩვენი რევოლიუციის განვითარების (დაწყებული მარტიდან დღეგანდლამდე) ხაზის თვალსაზრისით, შეიძლება დაიბადოს კითხვა—თუ რატომ არ გვსურს ჩვენ წამოვაყენოთ გერმანიაში ლოზუნგი საბჭოთა ხელისუფლებისა და რატომ ვაყენებთ მეორე ლოზუნგს—დროებითი მუშათა მთავრობის ლოზუნგს. ამ მხრივ ჩვენ უთმობთ შეკითხვებს და გერმანიის მუშათა მასების შეგნების დონეს.

კომინტერმა მხარი უნდა დაუჭიროს ამ ლოზუნგს და უნდა მისცეს გერმანიის კომუნისტურ პარტიას სათანადო დირექტივი. ეს სწორია, სხვა ტაქტიკური ხაზი არ არსებობს. პარალელურად ამასთან, მასში უნდა შევიტანოთ აზრი საბჭოების ორგანიზაციის შესახებ, არა როგორც ხელისუფლების ორგანოებისა, არამედ ისეთი ორგანოებისა, რომელნიც შემდეგ აიღებენ ხელისუფლებას.

დასკვნისათვის მოგახსენებთ, რომ მე არა მწამს კოალიცია გერმანიისა შეიდემანთან; მე ვფიქრობ ეგ კოალიცია არ შესდგება; შეიდემანის პარტიას არ შეუძლიან შესდგეს თვითმკვლელობის გზაზე. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, ამასთანავე, ენგრეთის რესპუბლიკის გამოცდილება და სხვა ისტორიული ფაქტები. ეს უნდა ავსწონ-დავსწონოთ, უნდა გავითვალისწინოთ. შეიდემანის პარტია ბოლომდი არ წავა, მაგრამ ჩვენ შევსძლებთ გავაკრათ იგი სამარცხვინო ბოძზე.

საშგარი პარტიულ კრილობის დელეგატებთან

ბორჩა. ჩემ თანამოსაუბრეს ამბ. სარჯველაძეს უკავია ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსის თანამდებობა; მასთანვე იგი კანდიდატია სამაზრო პარტკომის წევრის თანამდებობაზე. მისი ნაამბობი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ზოგჯერ ბოთხრობა რომელია, იგი დაწვრილებითი, დალაგებულ მოსხენებაა და აშუქებს გურიის—საქართველოს ამ მეტათ საინტერესო რაიონის—ცხოვრების ყველა მხარეს.

გურიას თავისი სახელოვანი რევოლიუციონური ისტორია აქვს. რევოლიუციონურ ბრძოლის ყველა ხანებში გურიის გლეხობა იღებდა მასობრივ აქტიურ მონაწილეობას; 1905 წელს გურიის სახელი ქუხდა კავკასიაში.

პარტიული მუშაობა.

საკვირველი არაა, რომ ამ ჟამათ კომუნისტური პარტია გურიაში უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე მაზრაში. ორგანიზაციაში 2,300 წევრამდე ირიცხება. ხელახალი რეგისტრაციის და პარტიის გაწმენდის შემდეგ, დაიკარგა სიები 300-მდე ამხანაგისა, ასე რომ ესენი ფორმალურად პარტიაში აღარ ირიცხებიან, ხოლო ფაქტიურათ მასში იმყოფებიან და ძუშაობენ. ამ სიების აღსადგენათ ზომებია მიღებული.

თუმცა ორგანიზაციის დიდი უმეტესობა — გლეხობა შეადგენს, მაგრამ აქაური გლეხობა უფრო შეგნებულია ოზურგეთის მაზრა საქართველოში ყველაზე დაწინაურებულია. აქ, მაგალითად, თითქმის არ არიან წერა-კითხვის უცოდინარნი.

მაგრამ თუ ჩვენი ორგანიზაცია ძლიერია გურიაში, სამაგიეროთ იქ ჩვენი მოპირდაპირენი ძლიერები არ არიან. მათ აქაც მ'ბრძოლელ გლეხობაში არავითარი რეალური ნიადაგი არა აქვთ, მაგრამ მათი პროვოკაციული მუშაობა მაინც ხანდახან იჩენს ხოლმე თავს.

პარტიული მხრით მთელი გურია განაწილებულია 12 რაიონათ.

მუშაობა ქალთა შორის სწარმოებს მაგრამ შედარებით სუსტათ, არაა კადრი შომზადებული მუშა-ქალებისა. ხოლო ჩვენი პარტიულ აპარატის ამ მხარეს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება. ქალებზე, როგორც უფრო ბნელ და უკან დარჩენილ ელემენტზე, მენშევიკური პროვოკაცია ახდენს რაოდენიმე შთაბეჭდილებას.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი.

კომუნ. ახალგ. კავშირი, რომელსაც პარტიული კომიტეტი საკმაო ხელმძღვანელობას უწევს, ძლიერ კარგათ მუშაობს. საერთოთ, პარტიულ და კომუნ. ახალგ. კავშირის ორგანიზაციებს შორის დამყარებულია მჭიდრო კავშირი და მწყობრი მუშაობა. კომ. ახალგ. კავშირის პასუხისმგებელ მუშაკებით ჩვენც ვსარგებლობთ, მათ საპასუხისმგებლო საქმეებს მივანდობთ ხოლმე.

კოლექტიური მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატიურათ მართავენ შაბათობებს და კვირაობებს სხვა და სხვა სამუშაოს შესასრულებლათ. სოფლებში, მაგალითათ ნატანების რაიონში, შაბათობისა და კვირაობის დროს თესდნენ და უვლიდნენ ულარიბეს გლეხთა ქვრივების ყანებს.

აგვისტოდან დაიწყო წვიმები და შაბათობები ძალაუნებურათ შევწყვიტეთ.

აგრარული რეფორმა.

საადგილმამულო საკითხი გადაწყვეტილია ცოტათ თუ ბევრათ დასაკმაყოფილებლათ იმ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა. გლეხურ მიწისმფლობელობის ნორმას დაწესებულს მენშევიკების მიერ, რასაკვირველია, ანგარიშს არ უწევდნენ; მებატონეებს და ბობოლა-გლეხებს მიწები ჩამოართვეს და ღარიბ გლეხებს დაურიგეს. სათესათ გამოსადეგ მიწების სივრცის გასაფართოვებლათ შეუდგნენ მიწის ნაკრების გაწმენდას ველურ ჯაგებისგან.

ამ სფეროში იქნება მეტის გაკეთებაც ყოფილიყო შესაძლებელი, ზოგიერთი უთანხმოება რომ არ მომხდარიყო საადგილ-მამულო განყოფილების პირად შემადგენლობასთან.

აგრონომიული დახმარება.

აღრიცხულია ყველა იმ მიწის ნაკრები, რომლებსაც საცდელი და მაჩვენებელი მხიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობისთვის, ბაღები მაღალი კულტურით და სხვა. ასე, ოზურგეთში გვაქვს დიდი ბაღი ჩაის პლანტაციით, ბამბუკის ჭალაკით და ძვირფას ხეხილით. ამ ბაღის განყოფილებები დაარსებულია ზოგიერთი სხვა პუნქტებშიაც. ლანჩხუთშიაც არის

... პარტიულ კრილობის დელეგატებთან

აგრეთვე ახალი, სამი წლის ბაღი, გაშენებული ჯერ კიდევ მენშევიკების დროს იგი ცუდ ყოფაში ვარდებოდა, შაგრამ საადგილ მამულო განყოფილების მეცადინეობით ხსენ ბაღალ დონეზე დადგა და თანდათან დიდ ბაღათ იქცევა.

ოზურგეთში დაარსებულია აგრეთვე კარგი ჯიშის საქონლის საშენი.

სოფლის მეურნეობა.

საერთოთ ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში გურიაში ფართეთ გავრცელდა ბალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა—ჩაის პლანტაციები, ლიმონის ბალაკები და სხვა. მათ განვითარებას ხელი შეუწყო მათი ნაწარმოების ფართეთ გასაღებამ გარეშე ბაზარზე. მაგრამ აგერ 3 4 წელიწადია, რაც ეს ნაწარმოები აღარ საღდება, მისი გატანა შეუძლებელი იყო, ხოლო ადგილობრივ სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გადამუშავება არ იყო მოწყობილი. ამის გამო მაღალი კულტურის სოფლის მეურნეობა დაეცა, ხოლო ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხელახლათ გაიხსნა გასავალი გარეშე ბაზრისკენ და ეს მეტათ სასარგებლო გავლენას იქონიებს სოფლის მეურნეობის ზემო აღნიშნულ დარგების განვითარებაზეც.

დაფნის ფოთოლი.

საყურადღებოა ამ მხრივ დაფნის ფოთლის კულტურა. ომამდე, როდესაც გურია გაივსო დაფნის ფოთლის მსყიდველებით, ამ უკანასკნელის დარგვა მეტათ სწრაფათ ვითარდებოდა; თითქმის მთელი გურია გაივსო დაფნით გლეხობა უვლიდა დაფნის ნერგებს, ღობავდა მათ და სხვა მეტადრე ლანჩხუთის რაიონში, ცენტრით ზემო-ჩიბათში. მაგრამ შემდეგ დაფნის ფოთლის გასაღება უცებ დაეცა, მსყიდველები აღარ მოდიოდნენ და გლეხებმაც მიატოვეს დაფნის ხეები.

ეხლა იმედია, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს დაუბრუნდება თავისი წინანდელი მნიშვნელობა.

თხილის და ზეთის მრეწველობა

თხილის ბაღებს გურიაში დიდი სივრცე უჭირავს. ამ ჟამათ თხილის გაშენებას სერიოზული ყურადღება მიაქციეს როგორც თითონ გლეხობამ ისე საბჭოთა ხელისუფლებამ.

ეგაა,რომ თხილზე გამოცხადებულმა მონოპოლიამ დასწია მისი ფასები.

ოზურგეთის სასალხო მეურნეობის საბჭომ ხელშეკრულობა დასდო ზეთის გამომხდელ ქარხნის კერძო პატრონებთან, როლებსაც აბარებენ სასურსათო გადასახადით მოგროვილ თხილს. თუმცა ეს კერძო მრეწველები არიან, მაგრამ თითონ ამ ფაქტს ზეთის გამომხდელ ადგილობრივ მრეწველობის ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელშეკრულობა საკმაოთ სასარგებლოა სახ. მეურნეობის საბჭოსთვის.

მეორე ზეთის გამომხდელ ქარხანას აარსებენ ლანჩხუთში, მაგრამ მას ჯერ მუშაობა არ დაუწყია.

რკინის გზის ტოტი ნატანებიდან-ოზურგეთში

მუშაობენ ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის ტოტის გასაყვანათ. როცა ამ გზას გაათავებენ ფიქრობენ მის გაგრძელებას ჩოხატაურამდე, სადაც დიდი ტყეებია—კაკალი, მუხა და სხვა ჯიშის ხე.

ხე-ტყის დამუშავება

ხე ტყის დამუშავებას დიდ ყურადღება აქცევს ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭო. ჩოხატაურის ტყეში იმართება ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ადგენენ მთაში ტყის სისტემატიურ ექსპლოატაციის გეგმას.

ამას გარდა არის სამი ხეტყის სახერხი ქარხანა რკინის გზის ხაზზე: ერთი ნატანებში,—ეკუთვნის საქართველოს სატყეო კომიტეტს, და ორი ლანჩხუთში, ესენი მუშაობენ, კოოპერატიულ არტელის საფუძველზე და ასრულებენ განსაკუთრებით საქართველოს სატყეო კომიტეტის დავალებას.

ლანჩხუთში კომუნისტურ მეურნეობის საბჭო მართავს თავის ხეტყის სახერხ ქარხანას, რომელიც ელექტრონის ძალით იმუშავებენ.

ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ოზურგეთიდან შემოქმედის თემამდე

ოზურგეთიდან შემოქმედის თემამდე ჩვენ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაგვყავს. რელსები და მასალების ნაწილი უკვე მიზიდეს იქ. ვიწრო ლიანდაგიან გზის გაკეთებას ჯერ კიდევ მენშევიკები აპირებდნენ მაგრამ მათ ვერა მოახერხეს რა. ჩვენ კი ერთბაშათ ფართეთ დავაყენეთ მუშაობა და ამ გარემოებამ მეტათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე.

იგივე ითქმის რკინის გზაზეც. მასზე ფიქრობდნენ ძველი რეჟიმის დროს, თავს იმტვრევდნენ მასზე მენშევიკებიც. ჩვენ კი მუშაობა დავიწყეთ და ეს გარემოება გამოდგა მეტათ საიმედო სააგიტაციო სამეურნეო მომენტათ მოსახლეობის თვალში ჩვენდა სასარგებლოთ. გურიის მოსახლეობა გვპირდება უფასოთ შეასრულოს მთელი შავი სამუშაო საქმე, რაც რკინის გზის გაყვანას დასჭირდება.

მოსავალი და სასურსათო გადასახადი

სასურსათო გადასახადის მოკრებას აფერხებს მოუსავლობა, თუმცა გლეხობა სრულიათ თანაუგრძნობს მას. საქმე იმაშია, რომ გურიის ორ მესამედში მოსავალი სულ არ მოვიდა, ხოლო დანარჩენ მესამედში. მოსავალი საშუალოზე დაბალი იყო. მოუსავლობისგან ნამეტნავათ დაზარალდა მთის რაიონი, რომელიც წინათ თავის სიმინდით ამარაგებდა არა თუ მარტო თავის რაიონის მცხოვრებლებს, არამედ მთელ ზემო გურიასაც. მოსავალი დაიღუპა გაზაფხულის გვალვისა და აგვისტოს შემდეგ ხშირი წვიმების გამო.

ნიგოითის რაიონი, მთავრობის დადგენილებით, მთლათ განთავისუფლებულია სასურსათო გადასახადისგან. მე-2 სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე სასურსათო გადასახადის საკითხი დაწვრილებით განიხილეს და დაადგინეს—აღძრან შუ მდგომლობა სიმინდზე გადასახადი შემცირებულ იქმნას 60 პროცენტით; თხილზე გადასახადის წინააღმდეგ არავინ არას ამბობს, რადგან მისი მოსავალი შედარებით კარგი იყო. იმავე პარტიულმა კონფერენციამ აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გლეხების წვრილი მეურნეობა განთავისუფლდეს წვრილ ნატურ-გადასახადისგან—ხორცზე ყველზე და სხვა. ეს ზომა აუცილებელია გლეხების დიფერენციაციისთვისაც. პარტიულ კონფერენციის დადგენილებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს გლეხთა მასაზე. კომუნისტურ პარტიის ავტორიტეტი, როგორც უღარიბეს გლეხობის ინტერესების დამცველისა, უფრო ამაღლდა.

თესვის კამპანიები.

თესვის ძირითადი კამპანია გურიაში ჩატარდება გაზაფხულზე, რადგან გურიაში უმთავრესათ ითესება სიმინდი.

აწეულ ნახნავების დასათესათ ცენტრიდან მიღებული იყო ორი ვაგონი თესლი: ერთი ხორბლით—განსაკუთრებით ნიგოითისთვის, ხოლო მეორე—ჭვავით—დანარჩენ რაიონებისთვის, რომლებიც დაზარალდნენ მოუსავლობისგან. რვა ვაგონი ჭვავით გვიან მოვიდა, როდესაც თესვა აღარ შეიძლებოდა. საადგილმამულო განყოფილებამ ეს ჭვავი გადაცვალა სიმინდზე—თესვის დასამზადებლათ გაზაფხულის კამპანიისთვის.

ადმინისტრატიული განაწილება

მენშევიკების დროს გურია იყოფოდა 3 რაიონად: 1) გურიანთასი (ოზურგეთისა), 2) ლანჩხუთისა და 3) ჩოხატაურისა. ეხლა კი, საქართველოს რევკომის დადგენილებით № 26 მაზრა გაყოფილია 6 რაიონათ: 1) ოზურგეთისა, 2) ნატანებისა 3) სუფსისა, 4) ლანჩხუთისა, 5) ჩოხატაურისა და 6) ნაგომარისა.

მილიცია

სამაზრო მილიციის შემადგენლობა—სრულიათ საიმედოა და კარგათ გაწრთვნილი. უფროსების შემადგენლობა—ესე იგი უფროსები და მათი თანაშემწეები—სულ პარტიული ამხანაგები არიან, ხოლო დაბალ მილიციელების მასსიდანაც 70 პროცენტი არიან პარტიული ამხანაგები. დანარჩენი ნაწილიც სრულიათ საიმედოა ტ მიღებული ადგილობრივ პარტკომებისა და რევკომების რეკომენდაციით.

სამწუხაროთ, მილიციის მატერიალური მომარაგება ტანისამოსით, სუტომისთვის იგი ყოველთვის მზათ არის და როცა კი საჭირო იქნება ამ ბასრ მახვილს მოიქნევს!

კვირას 22 იანვარს მუშათა სასახლის დიდს დარბაზში შესდგა მბეჭდავთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება ამხ. ლადო დუმბაძეს თავმჯდომარეობით. 9 იანვარს 1905 წ. პეტერბურგის ქუჩებზე მეფის პოლიციის მიერ დახვრეტილთა ხსოვნას საზოგადო კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

განსახილველი იყო დღიურ წესრიგში 1. სრულიათ საქართველოს პროფკავშირების ყრილობა და მისი მნიშვნელობა; 2. დელეგატების არჩევნები ამ ყრილობაზე, 3. მთლიან მუშათა კოოპერატივის ყრილობაზე რწმუნებულების არჩევა და 4. ახალი სატარიფო პოლიტიკა.

საქართველოს პროფკავშირების ყრილობა და მისი მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მაშკევიჩმა. მცირე შეკითხვების შემდეგ სიტყვას ღებულობს ერთი „ცნობილი საზოგადო მოღვაწე", (აქ უნდა აღვნიშნო, რომკრების გახსნიდანვე „ოპოზიციამ" ფაცი-ფუცი და ჩურჩული გამართა), ორატორი იხსენიებს წარსულს, როდესაც ასეთი მსუქანი ხორცი როგორც ეხლაა ბაზარზე, არასოდეს არ უნახავს და ამბობს თუ როგორ განსაცდელს განიცდის მშრომელი ხალხი, გოდავს და აფრქვევს ცრემლების ნაკადულს, მაგრამ... ღირსეულათ დააჯილდოვეს ეს გულშემტკივნე მგლები ცხვრის ქურქში გამოხვეულები!

ასეთი „მოღვაწეები" [illegible] დასტირიან მხ[illegible] სულ განუხორციელებელ წადილებს. როგორმე პაწია სტამბუკა დიდ სტამბებათ ექციათ და დიდი ტყავიც გაეძროთ ამავე მუშებისათვის. ფუტია მათი ცდა: მათი ზოოლოგიური შოვინიზმი მასსაზედ ვეღარ იმოქმედებს!

ამ ვაუბატონების მოგვარეთა და მსგავსთა მოღალატურმა პოლიტიკამ ჩააგდო კაცობრიობა განსაცდელში და მხოლოთ კომუნისტურ პარტიას ძალუძს ხელმძღვანელობა, რათა აღდგენილ იქმნას წარმოება, რომ ყველასათვის ხელმისაწდომი შეიქნეს ის მსუქანი ხორცი და სხვა, რომელსაც ასე მწუხარებით მისტირიან მენშევიკები. მენშევიკებისგან წამოყენებულმა სიამ ძლიერ ცოტა ხმა მიიღო და ნურას უკაცრავად თუ საზოგადო კრებამ ერთხელ კიდევ უჩვენა ამ არამკითხე ვაუბატონებს ღირსეული ადგილი... ხმის დიდი უმრავლესობით არჩეულ იქმნენ ვანო ბოლქვაძე, ვანო ბერბერაშვილი და სანდრო ბაშვილი (კომუნისტები) თუმცა დასაწყისში მენშევიკებმა დაჟინებით მოითხოვეს ტარიფის საკითხი პირველ რიგში დაესვათ, მაგრამ... როცა სრულის თავისუფლებით ენებ მოფხანილებს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ", ქურდულათ კრებიდან გაიპარნენ. კრებამ მოისმინა ტარიფზე მოხსენებაც და რწმუნებულებიც აირჩია ერთიან მუმუშათა კოოპერატივების ყრილობაზე.

ვ. ბერბერაშვილი.

მთავროგის მოქმედეგანი და განპარგულეგანი

დადგენილება № 6

შრომის სახალხო კომისარიატისა შრომის და ტვირთ-ზიდვის გადასახადის საშუალებით გაყვანილ მუშა ხელზე და ტვირთ-ზიდვა საშუალებაზე სამეურნეო ორგანოების მიერ გეგმითი მოთხოვნილებათა წარმოდგენის შესახებ

საქართველოს რევკომის დეკრეტის № 90 ა.წ. 25 იანვრის თარიღით შრომის ტ ტვირთსაზიდავ გადასახადის შესახებ პ. პ. 2, 3 და 4 განსახორციელებლად შრომის სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში სამეურნეო ორგანოებს შორის მუშა-ხელის და ტვირთ-საზიდავ საშუალებათა სწორი განაწილების აუცილებლობას ადგენს:

1. სამეურნეო ორგანოების მუშახელზე და ტვირ-საზიდავ საშუალებებზე მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნეს მხოლოდ იმ პირობით თუ ორგანოს მიერ წინასწარ იქნება შრომის სახალხო კომისარიატში წარდგენილი გეგმითი მოთხოვნილება განსაზღვრულ საგადასახადო პერიოდზე დაწესებულ ფორმით, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს ერთ ეგზემპლიარად.

შენიშვნა: საგადასახადო პერიოდები ითვლება: 1-ლი 1-ლ თებერვლიდან, 31 მარტამდე, მე-2-რე 1-ლ აპრილიდან 30 სექტემბრამდე, და მე-3-მე 1-ლ ოკტომბრიდან 31 დეკემბრამდე.

2. გეგმითი მოთხოვნილება მუშახელზე და ტვირთ-საზიდავ საშუალებებზე 1922 წლის პირველ საგადასახადო პერიოდზე წარმოდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს 1922 წლის 5 თებერვლისა.

3. სამეურნეო ორგანოები, მათში სათბობ მასალის დამზადებელი სასურსათო და არმია, რომელნიც არ წარმოადგენენ აღნიშნულ ვადებზე მოთხოვნილებებს მუშა-ხელზე და ტვირთ საზიდავ საშუალებაზე ჰკარგვენ უფლებას მისი მიღებისას.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **მიქაძე.**

შრომის გადასახადის და ბეგარათა განყ. გამგე **ხ. გოდაბრელიძე.**

28—1—1922 წ.

საარჩევნო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე"

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

ამიერ-კავკასიის გაერთიანებული რკინის გზების სამმართველო

ამა წლის 7 თებერვალს იწვევს მიმწოდებლებს შემდეგი მასალებისა:

კრამიტები მარსელის ტიპისა	162,870	ცალი.
დაუწვავი კირი —	— 15.000	ფუთი.
დამწვარი გაჯი —	— 71.000	ფუთი.

იმ პირთ, რომელთაც სურთ ზემო-აღნიშნულ მასალების მოწოდება, უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება ფასისა და პირობების ჩვენებით სამასალო ნაწილის უფროსის სახელზე 12 საათისთვის.

ცნობების მიღება შეიძლება ამავე ნაწილში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა 9—3 საათამდე.

პარტიული

— საქ. კომპარტიის მეოთხე რაიკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს იაჩეიკების ყველა მდივნებს ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ რაიკომში ცნობები პარტიულ ვალდებულებათა ასრულების შესახებ პირადობის ბარათით და პარტიულ ბილეთებთან ერთად, და აგრეთვე ცნობები იაჩეიკის შესახებ.

— მე-4 რაიკომის პრეზიდიუმი პარტიულ დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს იაჩეიკთა ყველა მდივნებს წარმოადგინონ ორი კვირის განმავლობაში რაიკომში სრულიად რუსეთის აღწერის შევსებული ბლანკები „ბ". ამ მოწერილობის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი შეტანილ იქნებიან შავ ფიცარზე.

საბჭოთა

— ქ. თბილისის მე-3 უბნ სახალხო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1922 წ. იანვრის 21-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის იოჰან გენრიხ ადოლფ, იგივე ანდრია თევროდეს ძის ფონ-შმიდტ აუფ-ალტენშტადტის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარ. ლევან იაკოფის ძის მღებრიშვილის მიერ 1909 წ. 23 თებერვლის დღეს, შეტანილ მის, ნოტარ. მღებრიშვილის, 1909 წ. უძრავ ქონებათათვის აქტების დავთარში მე-51 ნაწილში გვერდი 4. № 5.

სახალხო მოსამართლე **დ. იაგორაშვილი.**

მუშის წერილი

დღეს მშრომელი კლასი ფრიად ჩამაფიქრებელ ეკონომიურ პირობებში იმყოფება და გამოსავალი აქედან არის მხოლოთ მსოფლიო კაპიტალის დამხობაში, პროლეტარულ რევოლიუციაში. იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებმა და მოუსავლობამაც საბჭოთა რესპუბლიკები ძლიერ შეასუსტა და ისინი იძულებულნი შეიქნენ რაიმე გამოსავალი გამოენახათ. რათა აღედგინათ დაცემული წარმოება.

ეს გამოსავალი გამოიხატება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, რომლის შედეგებმაც აალაპარაკა დემაგოგები და ზოგიერთ მოაზროვნენიც საგონებელში ჩააგდო: „სად არის მშრომელთა დიქტატურა, სპეკულიაცია ბატონობს, ბურჟუაზია ისევ განაგრძობს ფუფუნებასო, იმ დროს, როდესაც მშრომელი სიმშილ-სიტიტვლით სულს ღაფავსო" და სხვა და სხვა

[illegible]

[illegible]

[illegible]